

ქვეყნის გზები



საქართველოს
მხარეთმცოდნეობის
ინსტიტუტის
გაზეთი
№6 (296)

15 ნოემბერი -
15 დეკემბერი 2022

ფასი 150 ლარი

გაეფიცა
თავი ერთად



რევაზ მიშველაძე
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

კი, ბატონო, გოლი 100 ქულად ჩაითვალოს, მაგრამ ხომ შეიძლება კარგად დარტყმული, მაგრამ ძელს მოხვედრილი ბურთი ჩაითვალოს 50 ქულად. ასევე, რატომ არა აქვს მნიშვნელობა საჯარიმო დარტყმების რაოდენობას? შეიძლება თამაშის განმავლობაში

დამაჩქარა, ამოვიღო ხმა და მსოფლიოს გავაგებინო ჩემი გულისტქმა.

რა დასამალია და ხვინას გამოსვლამ დიდ საფეხურთო ასპარეზზე, ჩვენი ერის ფსიქიკაში, არც მეტი, არც ნაკლები, გარდატეხა მოახდინა.

სხვა იმედით შევხედეთ სპორტს.

ფეხბურთი არასრულყოფილი სპორტია

ში მეტოქეებმა ბურთი ვერ გაიტანონ, მაგრამ მსაჯთა კოლეგიამ ერთ-ერთ მათგანს მაინც მიაკუთვნოს გამარჯვება. და ეს გამოცხადდეს თამაშის დამთავრებიდან სულ რაღაც ხუთი წუთის შემდეგ. ასე უფრო გამოაჩენს მსაჯთა კოლეგია თამაშის ხარისხს და ჭეშმარიტებას ასე უფრო იხეივებს.

განა ასეთი გაანგარიშებით უფრო არ შემცირდება უკმაყოფილო გულშემატკივართა რაოდენობა - სადაა სამართალი, აშკარად ეს გუნდი სჯაბნიდა და გამარჯვებით (ერთი ჩხინკი ბურთის გატანის გამო) მეორე გუნდმა გაიმარჯვაო.

მეორე: ფეხბურთელები ისე გადაიან სათამაშო მოედანზე, როგორც გლადიატორები არენაზე, შეგუებული არიან იმ აზრს, რომ კისერს თუ არა, ფეხს მაინც მოიტეხავენ.

ფეხბურთის დრაკონული კანონების გამო კი, მონინალმდეგის დასახიჩრებისთვის პასუხს არავენ აგებს.

შეიძლება სპორტული შეჯიბრი, სპორტული სანახაობა გლადიატორების ბრძოლას დაემსგავსოს?

ინგლისელებმა მეცხრამეტე საუკუნეში დაუდეს სათავე ფეხბურთს.

ამ საუკუნეშივე შექმნეს ეს ულამაზესი სანახაობა რკინის კანონებით.

გავიდა საუკუნეებია.

ფეხბურთს ამდენი ექსპერტი, ნამდვილი და ცრუ სპეციალისტი ჰყავს. ლამაზსიტყვაობენ ჟურნალისტები მატჩის შეფასებისას, ერთმანეთს ეჯიბრებიან საფეხბურთო „სიბრძნეების“ ფრქვევაში, იცავენ დისერტაციებს ფეხბურთის ავანჩავანზე, მის ისტორიაზე და სპორტულ ღირსებებზე...

უამრავი პროფესორი ჰყავს სპორტს და ნუთუ არცერთი მათგანი არ დაეჩქრებულა იმაზე, რომ შეეთავაზებინა ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციისთვის, ცოტათი მაინც გაეთანამედროვეებიათ ფეხბურთის წესდება, მისი სათამაშო კანონები.

რაო, ფეხბურთის რჯულმდებელი ღმერთი ხომ არ იყო, რომ მისი სათამაშო წესები სახარებასავით ხელშეუხებელი იყოს?

რასაც ახლა ვიტყვი, მთელი ცხოვრების მანძილზე მანუხებდა, მაგრამ ხვინა კვარაცხელიას გამოჩენამ უფრო

თითქოსდა წელში გავიმართეთ.

უფრო ამაყები გავხდით.

შუალამეგადასულზე შევყურებთ ცისფერ ეკრანს და მატჩის დამთავრების შემდეგ ალტკინებულნი წნევის წამლებს ვყლაპავთ.

ხვინა კი, ეს პატარა, ახალწვერულვაშიანი, უმეტესად თავჩაღუნული, ზრდილობით აღსავსე, ოდაერთი წლის კოლხი ბიჭი, თითქოსდა, ღირსების დასაბრუნებლად მოვლენია ქართველთა მოდგმას.

ოი, რა რუდუნებით, რა თავგანწირვით, რა ძალისხმევით ცდილობს იგი დღეს, ბოლო სამ ომში დამარცხებული, ტერიტორიებნართმეული, თავლაფდასხმული, პირქვედამხოზილი, წინააღმდეგობის უნარს მოკლებული, რუსეთისა და ამერიკისგან ერთდროულად დაპყრობილი ქართველი ერი ფეხზე წამოაყენოს და ღირსება დაუბრუნოს, გაამხნევოს, სიცოცხლის ხალისი მოჰგვაროს.

დიახ, ფეხბურთის მოედანი ჩვენთვის ოდენ სპორტის არენა კი არა, საომარი ასპარეზია, სადაც ჩვენს უკანასკნელ იმედს ვგზავნით და სადაც ჩვენს აჩქარებულ გულისცემას ფარად ვატანთ.

ამ დროს რა ხდება?

საუკუნეებია ჩვენი წინათ შექმნილი საფეხბურთო კატახიზმოს ძალით, თითქოსდა, უხილავი გველემპი დაჰქრის სტადიონზე და ჭეშმარიტ სპორტულ შემართებას, ჭეშმარიტ ნიჭს, სილამაზეს და სიჩაუქეს ჩაყლაპვით ეშუქრება.

გაიჭრება ფეხბურთელი მონინალმდეგის კარებისკენ და მას კბილთა ღრჭიალით მისდევენ „მცველები“, რადაც უნდა დაუჯდეთ, უნდა „მოცელონ“ - არც მეტი, არც ნაკლები.

გაიხსენეთ, რამდენი ნიჭიერი ფეხბურთელის სპორტული კარიერა მოსპო და დაამახინჯა ხულიგნური ნაჯიკავენა-ფეხისდადების ამ, ლამის დაშვებულმა, წესმა.

რატომ „ლამის დაშვებულმა“?

მსაჯი მაშინვე შემთხვევის ადგილზე გაჩნდება და სარმის ულმოზლად გამომკვრელს (სულერთია ნებით იყო თუ უნებლიეთ) ყვითელ ბარათს უჩვენებს.

რას უშველის ყვითელი ბარათი იმას, ვინც მოედანზე წევს და ტკივილები-სგან იკლავება?

ყვითელი ბარათი, ბოდიში მომითხოვია და, მსაჯმა გაიკეთოს ერთ ადგილზე.

ჩემს მახსოვრობაში მხოლოდ ორი ფეხბურთელი მესი და რონალდუ გადაურჩა სტადიონის ამ ულმოზელ „ბარების ბრძოლას“. დამტვრევით ისინიც არაერთგზის დაამტვრიეს, მაგრამ ისე ვერა, რომ მწყობრიდან გამოეყვანათ.

ვერ დამისახელებთ მსოფლიოში ვერცერთ ცნობილ ფეხბურთელს (ვარსკვლავებს ვგულისხმობ) ერთხელ მაინც რომ არ ყოფილიყო შეუბრალებელი მოცელების მსხვერპლი.

მერედა იცით, რა რის ფეხბურთელისთვის „სერიოზული ტრავმა“?

ექვსი, ან უკეთეს შემთხვევაში, სამი თვით მკურნალობას რომ თავი გააგნებოთ, იგი ამავე დროს საშინელი, თითქმის სამუდამო ფსიქოლოგიური ტრავმაცაა, რომელიც სპორტსმენის გონებას იპყრობს და ნიადაგ თან სდევს.

ეს გახლავთ სპორტული შიში, რომლის დაძლევისადაც სპორტსმენები ათწლეულების განმავლობაში ვერ ახერხებენ.

ისევე ჩვენს უბედურ ქვეყანას დავუბრუნდეთ;

დიდი იმედის მომცემი, ბრწყინვალე ფეხბურთელი იყო გიორგი ჩაკვეტაძე, მაგრამ ერთხელ სერიოზულად დაამტვრიეს და განახევრდა კაცი, როგორც ფეხბურთელი. შიში და სიფრთხილე, რომელიც მას ნიადაგ თან სდევს, არა და არ აძლევს თავისი სპორტული შესაძლებლობის სრულად გამოვლენის საშუალებას.

ხოლო ის, ვინც ჩაკვეტაძეს მომავალი დაუმახინჯა და ამისთვის, რა სასაცილოდაც უნდა მოგეჩვენოთ, ყვითელი ბარათი მიიღო, მშვენივრად აგრძელებს თავის უღიმამო სპორტულ კარიერას.

ამიტომაც მივმართავ ფეხბურთის მსოფლიო ფედერაციას და იმათ, ვისაც ფეხბურთის „რკინის კანონებში“ ცვლილებების შეტანა ხელეწიფება.

გაამკაცრეთ სტადიონზე „მოცელების“ და „ულმოზელი ფეხისდადების“ ჩამდენთა მიმართ წესები. მან ხომ „მსხვერპლი“ სამუდამოდ გაიმეტა, მან ხომ ფეხბურთელს მომავალი დაუმახინჯა. ნუ მიგაჩნიათ „მოცელება“ ჩვეულებრივ სპორტულ შემთხვევად.

დაუნესეთ სპორტულ დამნაშავეს თუნდაც ფინანსური სასჯელი, ან დისკვალიფიკაცია ერთი წლით მაინც.

აიაქსის კაპიტანმა ხვინა კვარაცხელიას რომ ფეხი დაუდო და ბიჭი, რომელსაც შვილივით ვუცქერი, მწვანე ბალახზე იწვა, თითები გამიცვიდა და გული კინალამ გამიჩერდა.

ჰოდა, ნუ წამართმევთ ჩემს უკანასკნელ სპორტულ იმედს.

ნუ დამიმტვრევთ „კვარადონას!“

11.X.2022 წ.
თბილისი



მოგესალმებით ბატონო თეიმურაზ, ცნობილია, რომ თქვენ 32 წელზე მეტია სახელოვნად ხელმძღვანელობთ საქართველოს მწერალთა კავშირის იმერეთის განყოფილებას. გარდა ამისა, 2022 თქვენი 75 წლის საიუბილეო წელი იყო, რაც სიაშოვნებით მოგილოცეთ.

რას ეტყვიტ „მწერლის გაზეთის“ მკითხველებს?

- რამდენადაც გასაკვირი არ უნდა გეჩვენოთ, მინდა იცოდეთ, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელს, 25 თეთრი არ მიმიღია ხელფასის სახით. ჩემი სურვილი იყო და რჩება კოლეგების ნდობა გავამართლო და იმაზე მეტი საქმე ვაკეთო, ვიდრე მევალება. თუმცა ასაკის გამო, ენთუზიაზმი და ჩემი ადრინდელი ხელგაშლილობა კლებულობს, მაინც ვცდილობ იმაზე მეტი ვაკეთო, ვიდრე მევალება.

არ შემიძლია კმაყოფილება არ გამოვთქვა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მიმართ. ყურადღებას არ გვაკლებენ.

მნიშვნელოვნად აღნიშნეს ჩემი საიუბილეო თარიღი, ჟურნალ-გაზეთებმა „ლიტერატურული საქართველო“, „მწერლის გაზეთი“, „ჭოროხი“, „აფინაჟი“, ტელევიზიებმა: „იმედი“, „რიონი“, ერთხელ კიდევ შეახსენეს საზოგადოებას, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

ქუთაისის ყოველთვის იყო ფლაგმანი და ამაგდარი ქართული კულტურისა.

აქ დაირწა ცისფერწყანელთა აკვანი. მიუხედავად „კოვიდ 19“-ის მძვინვარებისა თქვენ მაინც ახერხებდით შთამბეჭდავი ღონისძიებებით გაგემხნევებინათ საზოგადოება. რას იტყვიტ 2022 წელს ჩატარებულ ღონისძიებებზე?

- მიუხედავად რთული სიტუაციისა, შევძელიტ შეგვეწარჩუნებინა

სამწერლო ორგანიზაციის სიცოცხლისუნარიანობა, ყოველთვის ურად გამოდიოდა და გამოდის მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის გაზეთი „უქიმერიონი“, დრო და დრო ჟურნალი „მერმისი“.

ვბეჭდავთ ყველა თაობის წარმომადგენელთა საინტერესო ლიტერატურულ ნაწარმოებებს, პატივი მივაგეთ რამოდენიმე ცნობილი მწერლის ხსოვნას, ახალგაზრდა ავტორები მიღებული იქნენ მწერალთა კავშირის წევრად.

როგორ მიმდინარეობს ახალგაზრდა მწერლების მუშაობა? ვის გა-

ღონისძიებების განხორციელებაში.

ქალაქის ახლანდელი მერი, ბატონი იოსებ ხახალაიშვილი დაგვეხმარა დაეფინანსებინა გაზეთ „უქიმერიონის“ 10 ნომერი. ვფიქრობთ, მომავალი წლიდანაც ყოველი ნომერი დაფინანსდება.

თქვენი ხელმძღვანელობით სისტემატურად გამოდის გაზეთი „უქიმერიონი“ ძვირფას ქალაქზე და ფერადი ბეჭდვით. როგორ ახერხებთ ამას?

- გაზეთი „უქიმერიონი“ ძვირფას ქალაქზე ძვირფას და საინტერესო მასალებს ბეჭდავს, რისთვისაც არაერთხელ დაგვიმსახურებია მად-

მული ნომრები და ქალაქ ნიუპორტის ხელმძღვანელობასთან ერთად გაჩნდა სურვილი მათი მრავალტირაჟიანი გაზეთ „არგუსის“ და ჩვენი გაზეთის ლიტერატურული მასალები დროდადრო გაიცვალოს.

როგორ ეხმარებიან ქუთაისის სახელოვანი თეატრები თანამედრობების წინაშე დასმულ ურთულეს მოვლენებს?

- თეატრები ცდილობენ ამ რთულ და ძნელ პირობებშიც პოზიციები არ დათმონ, ახალი პიესებით გაამდიდრონ რეპერტუარი.

კიდევ რა ლიტერატურული ორგანოებით მოიწონებს თავს დავით აღმაშენებლის სატახტო ქალაქი?

- ქუთაისში წლების განმავლობაში იბეჭდება და გამოდის ისეთი საინტერესო გამოცემები, როგორცაა ჟურნალი „განთიადი“, „მწვანეყვავილა“, „სულ რაღაც, ორი წელია გამოდის ახალგაზრდული ჟურნალი „აფინაჟი“.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

გვესაუბრება თეიმურაზ ლანჩავა

მოარჩევდით?

- საინტერესოდ მიმდინარეობს ახალგაზრდა მწერლებთან ჩვენი

ლობა და ყურადღება.

ქალაქში ჩატარდა გაზეთის 30 წლის იუბილე, გაზეთ „უქიმერიონ-



თანამშრომლობა, ვცდილობთ ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში უხვად წარმოვაჩინოთ მათი შემოქმედება.

როგორია თქვენი ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან?

- ქალაქის ხელმძღვანელობასთან ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის გამოირჩეოდა პატივისცემითა და ურთიერთთანამშრომლობით. მერია აფინანსებს ცნობილ, ასაკოვან, მწერალთა ტომეულების გამოცემას, გვეხმარებიან დიდი ლიტერატურული საღამოების მოწყობაში, მხარს გვიჭერენ ახალი საინტერესო

ნის“ სარედაქციო კოლეგია საქართველოს მწერალთა კავშირის მიერ დაჯილდოვდა ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიით. სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელობის პრემიით.

პარიზში მოწყობილ ქუთაისის დღეებზე ჩავიტანეთ ფრანგულად თარგმნილი გაზეთის მთელი ტირაჟი და დავურიგეთ პარიზში მცხოვრებ ქართველებს. ასევე ინგლისში ჩვენი წარმომადგენლობის მიერ ჩატანილი იქნა „უქიმერიონის“ ახლადგამოცე-

მინანერი:

მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება კვლავაც მოწინავეობს.

იმედი გვაქვს, ქუთაისის მერია გამოიჩენს ჩვეულ გულისხმიერებას და დააკმაყოფილებს ჩვენს თხოვნას ბატონ თ. ლანჩავასთვის მერიის ბიუჯეტიდან შტატის გამოყოფის თაობაზე.

მაყვალა გონაშვილი რევაზ მიშველაძე

რევაზ მიშველაძე

კარგა ხნის მანძილზე საქართველოში ლამის ერთადერთი, შედარებით კეთილმოწყობილი, სანატორიუმი ბორჯომი-ლიკანი გახლდათ.

ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენმა სულსწრაფმა ხელისუფლებამ ეს ნალკოტი ვილაც თურქს მიჰყიდა და იქ ახლა ერთი ლამის გათევა 250 დოლარი ღირს. ფასს იმიტომ ვაკონკრეტებ, რომ ლიკანში დასვენებაზე უბრალო მოკვდავნი ამჟამად ვერც იოცნებებენ. მაგრამ ეს სხვა თემაა...

ოთხმოციანი წლების შუა ხანებია. კუჭის სიმჟავემ ძალიან შემანუხა და ლიკანში აღმოვჩნდი.

ჩასვლისას ადმინისტრატორს ვკითხე, უფროსთაგან თუ ვინმე ისვენებს-მეთქი. სამთავრობო კორპუსში ნოდარ ჭითანავა ბრძანდებო.

გად იცის ქართული და მსოფლიო ლიტერატურა, ეკონომიკა და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობა. რაც მთავარია, რა დიდებულდ ხედავს საქართველოს ადგილს მსოფლიო ცივილიზაციის ფარგლებში. რაც ჩემთვის უალრესად მნიშვნელოვანია, რა დიდებულად აანალიზებს საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას მოახლოებული რევოლუციის გუგუნში.

ის დღე და ის დღე, ლამის ოცდაათი დღის განმავლობაში მე და ნოდარ ჭითანავა ყოველ დღით ცხრის ნახევრზე ერთად გავდიოდით ლიკანის წითელ ბილიკებზე ხუთ კილომეტრს მაინც. სადილის შემდეგ ერთად ვცურავდით სანტორიუმის აუზში, დღეგამოშვებით

ეს იმისთვის გავიხსენე, რომ ხაზი გამესვა ერთი გარემოებისთვის; ნოდარ ჭითანავა არ იყო მკაცრი, შეუვალი კომუნისტი ლიდერი, იგი უპირველესად გახლდათ გულმომობელი, ყურადღებიანი, ეროვნულად მოაზროვნე ქართველი კაცი, რომელიც შემდგომში დიდ მეცნიერად, ჭეშმარიტ საზოგადო მოღვაწედ და მამულიშვილად ჩამოყალიბდა.

რა დამავინყებს 2015 წელს, ბატონი ნოდარის გამოსვლას ჩემი 75 წლისთავის საიუბილეო საღამოზე რუსთაველის თეატრში.

ეს იყო ბრძენი კაცის, ბრწყინვალე ორატორის, სიღრმითა და ეროვნული შემართებით ნათქვამი სიტყვა ქართველი მწერლისადმი.

ახლა წინ მიდევს აკადემიკოს

ბრძენი

ერთად შევდიოდით „საუნაში“ და საღამოსკენ ერთად ვათვლიერებდით გაზეთებს, რომელსაც ხელისუფლების უმაღლესი ეშელონის წარმომადგენელი ყოველდღე ღებულდა.

ხომ ასე მშვენიერი დასაწყისი ჰქონდა ჩვენს მეგობრობას და იგი შვებულების დამთავრების შემდეგ უფრო ლამაზად გაგრძელდა. დარეკვას რომ დავუგვიანებდი, ყელამდე საქმით დატვირთული ცეკას მდივნის პირველი სიტყვა გახლდათ - „სადა ხარ აქამდე?“

ერთი ვიზიტის შემდეგ ტელეფონი აიღო და მის თანაშემწეს (მგონი დევი სტურუას ბიჭი იყო) უთხრა: „რევაზ მიშველაძე როგორც კი მოვა, ყოველთვის დაუყოვნებლივ გამოატარეთ“.

ერთხელ ნოდარის კაბინეტში ვზივარ და მდივანმა მოახსენა - ზვიად გამსახურდია გეახლათო.

შემოვიდა ზვიადი. აღელვებული ჩანს. ორივეს ხელი ჩამოგვართვა და პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- ნოდარ, ნალენჯიხაში ორი ჩემი თანამებრძოლი, ეროვნული მოძრაობის ორი წევრი დაუკავებიათ.

- ხომ არ იცი, რაზე?

- რაზე დააკავებდნენ ახლა, თვითონაც მიხვდები. დემონსტრაციის მოწყობას აპირებდნენო. დარეკე ერთი, თუ კაცი ხარ. მაგათ თავი ხომ არ მოებზრდათ.

ნოდარს მეტი არაფერი უკითხავს. ტელეფონს დაწვდა და პირდაპირ რაიკომის პირველ მდივანს დაურეკა.

- გამარჯობა, ჭითანავა ვარ. ზვიადია ახლა ჩემთან. მანდ ორი აქტივისტი დაგიკავებიათ.

ზვიადს მიუბრუნდა - რა გვარებია?

- აქუბარდია და ჯგუშია, - მიუგო ზვიადმა.

- აქუბარდია და ჯგუშია. გაესაუბრეთ და გაათავისუფლეთ. როგორც მითხრეს, არ არიან ცუდი ბიჭები.

ნოდარ ჭითანავას ახალი წიგნი „გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში (საქართველოს ეკონომიკის ტრანსფორმაციის ხილული და უხილავი პრობლემები)“. ამ მშვენიერი წიგნის გამოცემისთვის ფრიად გარჯილან პროფესორი იური პაპასქუა და გამომცემელი, პუბლიცისტი ზაურ ნაჭყებია, რისთვისაც მადლობა მათ.

წინათქმაში ნოდარ ჭითანავა აღნიშნავს: „ნაშრომის მიზანია ხელი შეუწყოს იმის გაცნობიერებას, რომ საზოგადოებაში არა ცალკეული ჯგუფების პოზიციათა უკომპრომისო დაპირისპირება, არა „რაც მსურს, იმას ვაკეთებ“ და პასუხისმგებლობისგან დაცლილი, ყალბად აღქმული გამონახტვის თავისუფლება, არა გათითოკაცების სინდრომი, რომელიც დღეს საზოგადოებრივ ცნობიერებას წარმართავს, არა სოციალურად პოლარიზებული და დემორალიზებული ეკონომიკა, რომელიც მხოლოდ დომინანტი კერძო ინტერესების უზრუნველყოფას ემსახურება, არამედ მამულის, ენის, სარწმუნოების - ეროვნული ფენომენის საძირკველზე დაშენებული ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით განსაზღვრული განვითარების სტრატეგია და მისი განხორციელებისათვის მთელი ერის მზადყოფნა, ჯერ კიდევ გადარჩენილი მატერიალური და ინტელექტუალური პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაა მთავარი გამოწვევა.“

ვართ კი მზად ასეთ გამოწვევებთან გამკლავებისათვის?“ (გვ. 16).

ამ ამონარიდში ოდენ ცნობილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის ამ ახალი წიგნის მიზანდასახულებაზეა ლაპარაკი, არამედ ყოველგვარი შეფარვის გარეშე გაცხადებულია საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის სავალალო მდგომარეობის მიზეზები და მისი შევლის გონივრულ გზებზე მინიშნებასაც ამოიკითხავთ.

რა დამართეს ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ერთ დროს ლამის აყვავებულ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებით ფრიად თავმონონებულ ქვეყანას?

ის დამართეს, რასაც ასეთ მოკლე დროში ყველაზე მონდომებული მტერიც ვერ უზამდა.

საქართველო დღეს მოფენილია გაძარცვული, გაჩანაგებული ფაბრიკა-ქარხნებით, უზარმაზარი აგრეგატების და მანქანა-თვითმფრინავების გამომშვეები ქარხნები საპნისა და ცელოფანების გამოშვებაზე გადაკვალიფიცირდნენ, ხოლო ერთ დროს უხვი მოსავლის მომცემი ხოდაბუნების დიდი ნაწილი დღეს დაუმუშავებელ-დაუთესავნი სავალალოდ გამოიყურებიან.


ნოდარ ჭითანავა არამარტო არსებულ მდგომარეობას გვიხატავს მეცნიერული სიღრმითა და პუბლიცისტური მგზნებარებით, იგი მსოფლიო მეცნიერების მიღწევებზე დაყრდნობით, როგორც გამოცდილი, ცხოვრებაში არაერთი ექსპერიმენტის მნახველი სპეციალისტი, დაინტერესებულ მკითხველს ეჭვმიუტანელ რჩევებს აძლევს იმის შესახებ, თუ როგორ ავალროძინოთ სოფელი, რომ თურქული პროდუქტის შემყურე და ექსპორტირებული საქონლის მოიმედე არ აღმოვჩნდეთ.

როგორია თანამედროვე საქართველოს სოციალური მდგომარეობა?

„დღეს საზოგადოებაში პირად და ჯგუფურ ინტერესებს ამოფარებული ადამიანები დიდ დროს უაზრო ლაპარაკსა და კინკლაობაში ატარებენ. საშოვარზე გადახვენილი ოჯახის წევრის სიმწრის ოფლით ნაშოვნი ფულის გაფლანგვას შეჩვეულნი, ფიზიკურ შრომას თავილობენ და არც არავინ სთხოვს, საკუთარ ოჯახში სარჩო რატომ არ შემოაქვს. ეს არის ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის მოდუნების, გლობალური აგრესიის ზენოლის, ეროვნული ფენომენის საძირკველის - მამული, ენა, სარწმუნოების რღვევის, ტერიტორიული მთლიანობის მოშლის, ენის დაჩაგვრის, მართლმადიდებლური იდეებისადმი უნდობლობის, წარსულისადმი ნიჰილიზმის ძალისმიერი მეთოდებით დანერგვის, შრომისადმი ამპარტავნული დამოკიდებულების და ათასი დაშვებული შეცდომის შედეგად თანდათანობით ჩამოყალიბებული რეალობა“, - წერს ბატონი ნოდარი (გვ. 24).

ნუთუ გარეშე მტრისგან ტერიტორიებზენაგვრილი, ყველა მიმართულებით ილაჯგანყვეტილი, მსოფლიოს ორი დიდი მონსტრის ხელში სათამაშო ლელოდ ქცეული, ბავშვივით სატყუარაჩაჩრილი და იმედის ყალბი ილუზიებით დროებით დაპურებული საქართველო ისეთ ჩიხში შევიდა, რომ გამოსავალი არსით არის? გვირაბის ბოლოსაც უკუნი სიბნელეა?

არა და არა! ამ სტატიის სათაურს ადრესატი აი, რით ამართლებს:



მესამე დღეს, ასე, დაახლოებით ცხრის ნახევარზე, მორიგემა გამალვიძა, გარეთ ნოდარ ჭითანავა გელოდებათო.

ნოდარს პირადად არ ვიცნობდი, საერთოდ კი მისი ცეცხლოვანი გამოსვლებით აღფრთოვანებული ვიყავი. ცეკას მდივნის მოულოდნელი ვიზიტით გაოცებულ-გახარებული გავვარდი.

ცაცხვის ქვეშ მაღალ-მაღალი, მხარბეჭიანი, თმაჭალარა, ლამაზი ვაჟკაცი დგას და ილიმება.

- ძილი ხომ არ გაგიტყხეთ?

- რას ბრძანებთ, ბატონო ნოდარ.

ჩემზე ოთხიოდე წლით უფროსი, მაგრამ მისი მდგომარეობის გამო „ბატონობის“ გარეშე როგორ მივმართავ.

- გავისეირნოთ ცოტა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით.

გავუყვივით კიპარისების ბილიკს, იმპერატორის სასახლისკენ, იქედან მტკვრის სანაპიროზე დავეშვით...

ჩემი თანამგზავრი უალრესად საინტერესო მოსაუბრეა.

მე მხოლოდ შორისდებულებით ჩავერთვები ხოლმე.

გაოცებული ვარ, უპირველესად მისი ცოდნის მასშტაბებით; რა კარ-

„მწვავე გამოწვევებთან ბრძოლის თითქმის 30 წლის განმავლობაში გარედან ნაკარნახევი ილუზიებით მუდმივად დახშული ეროვნული სულისკვეთება, რომელმაც ძნელბედობის ჟამს ასპარეზი დაუთმო კრიმინალურ ცნობიერებას, მთვლემარე მდგომარეობიდან გამოსვლის ნიშნებს ავლენს. იმედის სხივმა გაიფლავა. ეროვნული ენერჯის მკვებავი წყარო არ დანრეტილა. იგი სუფთაა და მისი გონივრული გამოყენებით (დროთა განმავლობაში დაგროვილი მინარევებისგან განმედი), შესაძლებელია ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნება-განმტკიცება. ეს დიდი იმედია, რეალურად გაცნობიერებული იმედი - ეროვნული თანხმობისკენ და სამოქალაქო ინტეგრაციისკენ მიმავალი ყველაზე სწორი გზა (იქვე).

ხომ ღრმად მეცნიერული, ჭეშმარიტად მამულიშვილური და ქვეყანაზე გულატკიბული კაცის ღაღადისია გლობალური გამოწვევები ერთპოლუსიან მსოფლიოში“. იგი ჟანრული თვალსაზრისითაც ორიგინალურია.

თითქმის მთელი წიგნი აგებულია დიალოგის პრინციპზე. შეკითხვები ხომ აქტიუალურია, გაოცებას იწვევს ნოდარ ჭითანავას გონებამახვილური, შეკითხვაზე ზუსტად მორგებული პასუხები. წიგნის ავტორი პრობლემების ირგვლივ კი არ მსჯელობს, არამედ სწორედ რომ პრობლემებზე საუბრობს.

მწვავე საკითხებზე მსჯელობას არ გაურბის და არც „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ საბუთიან გაკრიტიკებას ერიდება.

სხვათა შორის დიალოგის ფორმა თანამედროვე ქართულ მეცნიერებაში ამ წიგნით სწორედ ნოდარ ჭითანავამ შემოიტანა.

დიალოგი უძველესი მეთოდია და შემჩნეულია, რომ მკითხველს და მსმენელს ჭეშმარიტებაში გარკვევა დიალოგის საშუალებით უფრო უადვილდება.

მოგეხსენებთ, სწორედ დიალოგის ფორმით მოაღწიეს ჩვენამდე სოკრატეს და პლატონის გენიალურმა ქმნილებებმა.

ნოდარ ჭითანავას ამ ახალი წიგნის პირველივე სტატიის სათაური ასე უღერს:

„ერის უბედურება იწყება იქ, სადაც ნიჭის, ჭკუისა და ცოდნის მქონე მამულიშვილებს უნდობლობას უცხადებენ“.

რა მწარე სიმართლეა. მართლაც, ძნელად თუ გავიხსენებთ ეპოქას, სადაც მეცნიერება და მწერლობა ისე ყოფილიყო იგნორირებული, როგორც დღესაა.

შთაბეჭდილება ისეთი რჩება, რომ ხელისუფლებამ ამ ბოლო

ოცდაათი წლის განმავლობაში არ დაისაჭიროვა მეცნიერული აზრი, მაღალ ეშელონებში გულგრილად შესცქერიან ერის სიამაყეს - ქართულ მწერლობას.

ამ სტატიის შედეგია ის გარემოება, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას წართმეული აქვს კვლევითი ინსტიტუტები და შესაბამისად მეცნიერების ორგანიზატორის ფუნქცია.

აკადემიის მაღალ კაბინეტებში სხედან პრეზიდენტები და ვიცე-პრეზიდენტები, რომლებიც უსაქმობისაგან ამტქნარებენ.

დამნაშავე მიხეილ სააკაშვილმა მწერლებს წაართვა კუთვნილი შენობა (მაჩაბლის 13) და ქუჩაში გამოყარა.

გვეგონა „ოცნების“ ხელისუფლება „ნაცების“ მიერ წართმეულ შენობას დაგიბრუნებდა, მაგრამ მწარედ მოვტყუვდით.

ამ მიმართულებით მიშას ბნელი საქმე მშვენივრად გრძელდება.

ეროვნული ფენომენისადმი გულგრილობა ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ მიხეილ სააკაშვილმა ქართველებს საბუთებში ეროვნება წაუშალა და არცერთ ქართველს დღესაც არცერთ საბუთში ეროვნება არ უწერია.

საოცარია, რატომ არ აღუდგინა პარლამენტმა ამ ათი წლის განმავლობაში ქართველებს ეროვნება?

ეროვნული ფენომენისადმი გულგრილობა ხომ არ არის იმის მიზეზი, რომ 2017 წელს ხელისუფლებამ უარი თქვა შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის გამართვაზე. რუსთაველს მაინც რას ერჩოდნენ, „ვეფხისტყაოსნის ავტორმა მაინც რა დაუშავათ?

50 წლის განმავლობაში თბილისის მერიას ჰყავდა მრჩეველთა საბჭო.

მე მრჩეველები არ მჭირდება, თვითონაც ყველაფერი მშვენივრად ვიციო, გაიფიქრა კახა კალაძემ და მოსვლისთანვე მრჩეველთა საბჭო გააუქმა.

„მე თვითონ ყველაფერი კარგად ვიცი“ შედეგი ხომ არ არის ის გარემოება, რომ ამ ბოლო დროს მამადავითის ულამაზეს მთას მაღლივი შენობები ააფარეს და თბილისის სამუდამოდ დაამახინჯეს, რომ თბილისის საპატიო მოქალაქედ ერთი არც თუ სახარბიელო ბიოგრაფიის მქონე პირის გვარი გაეპარათ, რომ ვაკის პარკში...

თუმცა ამ უკანასკნელზე არას ვიტყვი:

„მართლაც“ ანგელოზურ ძილს ვცემ თაყვანს.

...და ბოლოს, ნოდარ ჭითანავას ახალი წიგნი იმის მიმანიშნებელია, რომ „ქუდი მექუდემ უნდა შეკეროს“.

საბრალოა ის ქვეყანა, სადაც ნოდარ ჭითანავასთანა მოაზროვნეებს უგულვებელჰყოფენ.

ეს წიგნი ყველა ჩინოსანს და ყველა უჩინოს მაგიდაზე უნდა ედოს, რომ შიგადაშიგ ჩახედოს ხოლმე ჭკუის სასწავლებლად.



დალი კახიანი

ვაიმა, ჩაო!

ჰოი, ნეტავ შენ, მერცხლის კვალ ცას ხნულებად ნავლებო, გაფრენილო სიყრმის წლებო მჩქროლავ გულის ალებო.

სიყვარულით დაქარგული გზაო ძველი მეგობრის, უიმედოდ დაკარგული მუხთალ ხელით მეკობრის.

ვაიმე ჩემო ნდობავ, დობავ, გაცუდებულ იარად, ვაშა ყველას, ვინც ბენვის ხიდს უბორძიკოდ იარა.

მადლი უფალს, ვინც ნათელი სულში ტაძრად ატარა, მშიერს ლუკმა უწილადა, მწყურვალს სახვე მათარა.

დიდ წინაპარს ვინც აუნთო დედისერთა სანთელი, უპირობოდ ვინც იღვანა ფალავანის სარტყელით.

ვაიმე ჩემო მთავ და ველო სტეპის მგელით ნათელიო, ვაზიანო, მუხიანო ბობრი ჯიშით ნაბელო.

ვაი ჩემო ზღვავე ფირუზის სისხლისფერად ნალებო, აიეტის სანახებო კოლხ მედეას ბალებო.

ვაიმე, ჩემო ქართლის გულო, მაჩაბლიანთ მამულო, მუხთალ ძმისად განირულო, ტყვიის წვიმით ნამულო.

და უფროვე ძველო დარდო, თავო გადანასხებო, ტაო, გახსნილ იარად ხარ, ოშკის ლერწამ თალებო.

ჰოიმე, ჩემო ტკბილო სევდავე დედის ხატად ვლენილო, მონატრებავე გარდასულთა მდულარ ცრემლად დენილო.

ჰოი, ნეტავ შენ, მერცხლის კვალ ცას ხნულებად ნავლებო, გაფრენილო სიყრმის წლებო მჩქროლავ გულის ალებო.

არ მეორდება

არ მეორდება ერთხელ ნაგრძნობი, ერთ მდინარეში ორგზის ვერ შეხვალ, არ იბინდება გრძნობა ნაღრძობი პირველქმნილობით ელავს და მეხავს.

დღონჯ შემოყრით მოირა მიმზერს აკაციები ბისერით ბარდნის სიზმარი ქსელავს ფანდებით მიზეზს, ენიგმა ბოლავს მიღმა ფარდების.

ბედი განკარგავს კამათელს ნარდის ერთურთს უზავებს ჟოლოს და პანტას მაჯას ამბორმყოფს ნაცადი ბარდი ქათინაურებს ხურდებდად ფანტავს.

სიყრმით ნაცადი არ მეორდება, ერთ მდინარეში ორგზის ვერ შეხვალ, სულში ტვიფრული წარმტაც ოდებად, პირველქმნილობით ელავს და მეხავს.

ალბათ და ეგების

ალბათ, იქ მაინც შევხვდებით რიჟრაჟზე. აქ თუ არ, იქ მაინც არ იქცეს ეგების სათუოდ გზათა შესაყარი. არ იქნას გვიანი დაისის სამხარი იქ მაინც, აქ თუ არ. ნახინჯის ნამსჭვალი ეგების განქარდეს უდილადასა, იქ მაინც, აქ თუ არ, გულქანდიერაზა ჩაკირულ გაუთქმელს, გულს მოესალოსა. ალბათ; იქ მაინც, და გვხვდება მარხილით პეპლების ლაშქარი იქ, იქ გაცხადდება. გაუთქმელობის მახინჯი სამხილი აგორებს აქ ყომარს. გაგვაქროლებენ ღრუბლებით ლეგებით, იქ მაინც, იქ მაინც, შევხვდებით რიჟრაჟზე ალბათ და ეგების აქ რომ არ

შეფაკლავს ლილე მაისის დილებს, გავაზი ცამდე აინვართება, ციდა რუ ბოლომდე ჩაიხსნის ლილებს, შემოიუხვებს მორაგულ კალთებს, მხატვრის მარჯვენა მოფარჩავს

ველებს, აღუვლენს კბოდეს ოდებს გულისას, გზას დაულოცავს მოჯაფე ხელებს, მზე ყანნით შესვამს ღვთის სადიდებელს პირმშვენიერი გაზაფხულისას.

ერთი ტელეგადაცემის ცხრა შეცდომა

პროფესორმა ზურაბ კიკნაძემ ამ ბოლო დროს ტელეექსპორტობასაც გამოჰკრა ხელი. ღმერთმა ხელი მოუშალა, მაგრამ დიდი ხნის წინათ ვურჩიე, რუსთველოლოგიური საკითხების რკვევაზე ხელი აეღო, ოღონდ არ დამიჯერა. როგორც ჩანს, სული გახელბულია – ხშირად დასძლევს ხოლმე ცდუნება – და სწორედ ამის შედეგია მკვლევრის მორიგი ტელემარტილობა.

მეცნიერის რუსთველოლოგიური მსჯელობა, რომლის შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ, არაერთხელ გაიმეორა სატელევიზიო არხმა და, მაყურებელს რომ მცდარი წარმოდგენა არ შეექმნეს რუსთველსა და მის პერსონაჟებზე, საკმაოდ ფართოდ ვისაუბრებ ლექციის 9 უმთავრეს შეცდომაზე.

1. მომხსენებელმა დაბეჯითებით ბრძანა: პოემაში ყველა გონიერია, ხოლო ტარიელი კი სიბრძნით არასოდეს გამოირჩეოდაო! უწინარეს ყოვლისა, თეორიულად განსაჯოთ ეგ საკითხი: რუსთველი მიჯნურის აუცილებელ ათ თვისებას გამოყოფს:

- მიჯნურსა თვალად სიტურფე (1)
- მართებს მართ ვითა მზეობა,
- სიბრძნე (2), სიუხვე (3), სიმდიდრე (4),
- სიყრმე (5) და მოცალეობა (6),
- ენა (7), გონება (8), დათმობა (9),
- მძლეთა მებრძოლთა მძლეობა (10).

როგორც ვხედავთ, სიბრძნე მეორე აუცილებლობად არის წარმოდგენილი და უამთვისებოდ მწერალი პერსონაჟს ვერ დააგდებდა. მით უფრო, რომ ტარიელი გახლავთ ცენტრალური გმირი, ინდოეთის ამბავი კი ქმნილების მთავარი ამბავია (ამაზე ქვემოთ კვლავ ვიტყვი).

მაშასადამე, თეორიულადაც დაუშვებელია, მიჯნური ამირბარი არ ყოფილიყო ბრძენი.

მრავლისმეტყველია მეორე არგუმენტიც: ქმნილებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ტარიელი ბრძენია არა მარტო მოგვიანებით, ასაკში შესული, არამედ სიყმანვილეშიც. ფირდოუსის, ნიზამის თხზულებებში, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ბევრ სხვა ნაშრომში მთავარი გმირები სწორედ იმით გამოირჩევიან, რომ არიან „ყმანვილი ბრძენნი“. თვით „ვეფხისტყაოსანში“ ამაზე მითითება. ჯერ კიდევ პირტიტველა, სრულიად ნორჩ მთავარსარდალს ხატათში საომრად წაყოლილი ხნოვანი სარდლები პირდაპირ ეუბნებიან, ბრძენი ახალგაზრდა ხარო. ამირბარი თავად ჰყვება:

მითხრეს, თუ: „ხარო ყმანვილი ბრძენი, მით გკადრებთ გლახენით.“
 „ბრძენი ყმანვილის“ თაობაზე მთელი მონოგრაფიის დაწერა შეიძლება, ოღონდ ამჟამად საამისოდ არა გვცხელა.

არგუმენტი მესამე: ახლა შევათვალეოთ ფაქტობრივი ვითარება.

ბატონ ზურაბს მხედველობიდან გამოჰპარვია, რომ პერსონაჟთა სიბრძნის თაობაზე საგანგებოდ გამოკვლევა არის დაბეჭდილი, სადაც განადგურებულია მცდარი მოსაზრება, თითქოსდა პოემაში ავთანდილი იყოს ყველაზე ბრძენი, ხოლო სხვანი – ნაკლებ გონიერი; მოყვანილი და აღწერულია პერსონათა სიბრძნის გამოხატველი აფორიზმები და გამოტანილია დასკვნა: ავთანდილზე მოდის 85 აფორიზმი, ტარიელზე – 35, თინათინზე – 5,

როსტევეანზე – 12, სოგრატზე – 8, ასმათზე – 12, ფრიდონზე – 6, ნესტანზე – 20, ფატმანზე – 11, სხვებზე – 5. იქვე ახსნილია, თურამ განაპირობა ეს. ეგ განაპირობა პერსონაჟთა „სცენაზე ყოფნის“ ხანგრძლივობამ: ყველაზე დიდხანს მოქმედებს ავთანდილი. ამიტომაც ის ყველაზე მეტ აფორიზმს წარმოთქვამს; ამ მხრივ მეორე ადგილზეა ტარიელი, შემდეგ – ნესტანი. აფორიზმებიც ამისა და მიხედვითაა წარმოდგენილი. გამოკვლევაში ისიცაა გარკვეული, რომ ტარიელის ცხოვრებაში გამოიყოფა სამი პერიოდი: ხანა ნორმალური ვითარებისა; დაბნედილობის, უგუნურობის, დაცემის ხანა და დრო, როცა გმირს სულიერი კრიზისი მოეხსნება. სწორედ ამან განაპირობა, რომ ტარიელი გამოთქვამს 35 სიბრძნეს, ავთანდილი – 85 აფორიზმს. მოვიყვანოთ სტატიის ერთ მონაკვეთს: „ავთანდილი რომ დაუკვირვებლად უსაყვედურებს: „ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებრო“ (885), ტარიელი იქვე მოსწრებულად უპასუხებს: „ბრძენი, ვინ ბრძენი, რა ბრძენი! ხელი ვითა იქმს ბრძნობასა?! ეგ საუბარი მაშინ ხამს, თუცა ვიყო ცნობასა!“ (895). ტარიელის ცხოვრების ამ მეორე, ტრაგიკული პერიოდის არსს ამომწურავად ხსნის ასმათი: „გული, ცნობა და გონება ერთმანერთზედა ჰკიდია: რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან“ (857). მაშ, პოემაშივეა ახსნილი ტარიელის ყოფის II პერიოდის საფუძველი: სატრფოდაკარგული რაინდი შმაგ მაჯუნუნადაა ქცეული; გული გაფუჭებია, ხოლო ცნობიერება და გონი გულზეა დამოკიდებული. აი, სწორედ დაბნედილობის პერიოდის ტარიელია ძირითადად ჩვენ წინაშე წარმოსახული და ამიტომაც გვეჩვენება, თითქოსდა ტარიელის დროებითი მდგომარეობის პერიოდი მარადიულია და სწორედ ეგაა პერსონაჟის მთავარი მახასიათებელი. არა! ეგ დროებითი ვითარებაა. მსგავს სიტუაციაში რომ აღმოჩენილიყო, შესაძლოა, ავთანდილიც მსგავსადვე დაბნედილი გვეხილა!

ამრიგად, სპასპეტის ყოფის ყველა ეტაპი და ამირბარის ცხოვრების I და III ეტაპები იდენტურია; მათ შორის სხვაობას თითქმის ვერ აღმოვაჩენთ და ამ დროს ამირბარიც ისე მრავალბლანია და დინამიკური გმირია, როგორც — სპასპეტი“ (მ. თავდიშვილი, „ვეფხისტყაოსნის პერსონაჟთა ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიური პორტრეტების დაზუსტებისათვის“, ჟურნალი „პარალელი“, 2020, 12, გვ. 119).

შეიძლება ითქვას მეტიც: თუ ერთმანეთს შევადარებთ ტარიელის ცხოვრების I და III ხანასა და ავთანდილის მთლიან ყოფას, შევნიშნავთ: ამ ვითარებაში პროცენტულად ტარიელი უფრო ბრძენი გამოჩნდება, ვიდრე — ავთანდილი. ერთსაც დავსძენდი — ამირბარის ხასიათზე მოყვანის შემდეგ ვხედავთ: ყველაფერი ისე წარიმართება, გმირები ისე მოქმედებენ, როგორც ამას ყველაზე გონიერი და ბრძენი პერსონაჟი გადაწყვეტს. კიდევ მეტი: ქაჯეთის ციხეზე შეტევის წინ სამი რაინდი თათბირს გამართავს. ამ თათბირზე ყველაზე გონიერულ გეგმას სწორედ ამირბარი წარმოადგენს.

ესეც იმის დასტურია, რომ ცენტრალური პერსონაჟი ყველაზე ბრძენია!

მაშასადამე, ტელეექსპორტის დეზადი – ტარიელი არ გამოირჩევა სიბრძნით – არის ზედაპირული, მოჩვენებითი, ილუზორული და არამეცნიერული.

2. ბატონმა ზურაბმა ქალწულებრივი სიმორცხვით განაცხადა (როცა ქაჯეთის ალების ამბავი მოათავა): ამ დროს ფარსადანი (ნეს-

ტანის მამა) ცოცხალია თუ არა, არ ვიცით! ამ განცხადებით სწავლულმა ხარაკირი გაიკეთა: საკუთარი პირით აღიარა, პოემა ბოლომდე არ წამიკითხავსო! ბოლომდე რომ წაეკითხა, დაინახავდა: ფარსადანის სიკვდილის ამბავს გმირები გაიგებენ ბოლო თავებში, როცა არაბული ლაშქრის თანხლებით ინდოეთისაკენ მიიქარებიან, რათა იქ შეჭრილი ხატაელები ალაგმონ, ხოლო იმ დროს, როცა ნესტანი სატრფოს ქაჯთა ციხიდან წერილსა სწერს, მამამისი ჯერ კიდევ ცოცხალია. ქალი სატრფოს მოუწოდებს: „ნადი, ინდოეთს მიჰმართე, არგე რა ჩემსა მშობელსა!“

უსტარში „მშობლად“ ფარსადან მეფეა ნაგულსხმევი. და აქ თავს მძალეებს ჩემივე აფორიზმი: როცა რაიმე არ იცი, არ იცი ძალიან კარგად.

3. ძალიან კარგად არ სცოდნია ჩვენს ორატორს ცნება „შვიდი“ და მისი ამბავი. აკაკი რომ წერს, „შვიდ სამთავროს მოგვაგონებს მოელვარე ის შვიდფერი“, გულსხმობს ბედნიერების, სისავსის, მთლიანობის სიმბოლურად გამომხატველ ციფრს – 7.

საქმე ისაა, რომ ამ იდუმალი შვიდის მეტაფორულ-სიმბოლური არსი კარგადაა დამუშავებული მსოფლიო მეცნიერებაში. ასევე კარგადაა ცნობილი შვიდი საცნობელი, სისრულისა და ერთიანობის გამომხატველი. ფარსულად იგი ასე გამოიხატება: ჰაფთ ეყლიმ-ე ვოჯუდ — არსობის შვიდი ელემენტი, ადამიანის შვიდი ნაწილი: ორი ფეხი, ორი ხელი, ტანი, თავი, კისერი (იხ. „ქილილა და დამანა“, 1035, მაგალი თოდუას რედაქცია, 1975).

პერსონის გმირობის სისრულეს სწორედ ის გამოხატავდა, თუ იგი 7 გმირობას ჩაიდენდა. ასეთია „შაჰ-ნამეს“ პერსონაჟი გომთასფი – ის 7 გმირობას სჩადის, ანუ სრული გმირია.

შვიდი პირობითი ციფრია, ბედნიერების მეტაფორული გამომხატველია. ამიტომ არც ისაა შემთხვევითი, რომ ნიზამის ერთ „ბედნიერ“ პოემას ეწოდება „შვიდი მთიები“ (შვიდი მნათობი); არაა სავალდებულო, რომ ბედნიერ ხელმწიფეს მართლა შვიდი სამეფო (მხარე ან გავარი) ემორჩილებოდეს. შესაძლოა, რეალურად ერთი ან ორი ემონებოდეს, ოღონდ რა ბედენაა? მეხოტბე ამ ხელმწიფეს მაინც შვიდი იყლიმის მბრძანებელს ეძახის. მაგალითად, შენგოლი, ინდოთ მეფე, „შაჰ-ნამეს“ მიხედვით, 7 ლოკალური ხელმწიფის უფროსია. როცა იგი თავის სიძეს ბარამ-გურს ესტუმრება, თან ახლავს 7 ხელმწიფე, ოღონდ არც ერთი არაა „კეისარი“ (მ. თავდიშვილი, ფირდოუსი და რუსთველი, 2009, გვ. 25).

მაშასადამე, შვიდი სისრულის, ერთიანობის, ბედნიერების, სიმშვიდის სიმბოლოა და არც ის გვეჩვენება შემთხვევითად, რომ ამ რიცხვის სიმბოლური მნიშვნელობებიდან ქართველმა კაცმა უპირატესობა მიანიჭა ერთ მათგანს და ასე შეიქმნა სიტყვები: მ – შვიდ – ი, სი – მ – შვიდ – ე, გურული სოფლის სახელწოდება მ – შვიდ – ობა – ური.

ამავე საკითხებზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ცნობილმა მკვლევარმა ნესტან სულავამ, მაგრამ რალა შორს წავიდეთ, ვნახოთ, რა წერია 2009 წ. გამოსულ ჩემს მონოგრაფიაში: „ვეფხისტყაოსანში ციფრი შვიდი დაახლოებით 10-12-ჯერ არის გამოყენებული. აქედან ზოგან პირდაპირი მნიშვნელობა აქვს და ჩვენს ინტერესს არ იწვევს. უფრო საგულსხმია ის შემთხვევები, სადაც „შვიდის“ უკან ერთი შეხედვით უწინარი შინაარსი დგას. ეს ფრაზებია: „შვი-

დი ტახტი სახელმწიფო“ („ინდო-ხატაელთა ამბავში“); „ინდოეთს შვიდთა მეფეთა“ (გვ. 81). ამ გამოთქმებზე ზოგმა მთელი მოსაზრება ააგო, მეტისმეტად აღვირახსნილი ფანტაზიორობა გამოიჩინა. ფანტაზიის ასეთი „გაჭენების“ მოდა ირანშიც შემოსულა: „საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ როსთამის შვიდ გმირობაში შვიდ მისტიკურ სიმბოლოს ხედავენ“ (მ. თოდუა, ფირდოუსი და მისი „შაჰ-ნამე“, გვ. 75). სინამდვილეში ციფრი 7 სისრულეს (მთლიანობას) აღნიშნავს. მეტაფორულად იგი გულსხმობს მთელ ქვეყნიერებას; როცა 7 მხარესა და სამეფოზეა საუბარი, უნდა ვიცოდეთ: იგი ფარავს იმ გამოთქმას, რაც „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგში სხვა ფორმულით არის გამოხატული და რაც აღმოსავლური ლიტერატურის ცნობილი და პოპულარული სახეა: „ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებლად“ (გვ. 311). ქართული პოემის ამ ტაქსის ბუდე-სტროფიდან ვგებულობთ, რომ აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე მტრისთვის შიშის ზარის დამცემი ყოფილა სოსლანი, ქართველთა მეფე და ღმერთი.

ეს ფორმულა „შაჰ-ნამეს“ ლამის ყველა ქვეთავში გვხვდება; თითქმის ყველა შაჰინ-შაჰი მთელი ქვეყნიერების ანდა 7 სამეფოს (მინის), ანდა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ ტერიტორიის პატრონია... მაშ, ძველად მეფეებს გაზვიადებულად ასე მოიხსენიებდნენ: „აღმოსავლეთისა და დასავლეთის მპყრობელი“. ეს ჰიპერბოლიზებული ეპითეტი არაერთგან გამოუყენებია აბულყასემ თუსს: დიდება შაჰს, ხელი რომ მიუწვდება „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ (3, 16815); შვილი მამამისზე, გომთასფზე, ამბობს: „დასავლეთიც ემორჩილება მას და აღმოსავლეთიც“ (4, 7038)... ახლა სხვა მაგალითებიც გაცხინჯოთ. მეფე არდაშირი ბრძანებს: „მე ხომ მინის შვიდივე მხარე მემორჩილება“ (5, 5953)... დიბადა ბარამ-გური, იეზიდგერდ პირველის მემკვიდრე. მას უწინასწარმეტყველეს ბედკეთილი ხელმწიფობა, რაც მთავარია, მამამისი დააიმედეს: შვიდი მხარის მიწები დაექვემდებარება მასო (5, 8855); სხვა მაგალითი ასეთია: შვიდი მინის პატრონს სხვაგვარად ეწოდება „მეფე მსოფლიომპყრობელი“ (5, 13025)... ჰუმანგიც „შვიდი ქვეყნის“ მპყრობელია („შაჰ-ნამე“, მოთხრობილი მაგალი თოდუას მიერ, გვ. 6). აი, თუ როგორ უნდა გვესმოდეს მითითებული გამოთქმები: ისინი ჰიპერბოლიზებული გამოთქმებია და, შესაძლოა, პირმოთნე ქვეშევრდომმა სუსტ და უგერგილო მეფესაც კი უწოდოს. ქართულ ეპოპეაში გვაქვს ამგვარი ვითარება: სარიდან ხელმწიფეს ინდოეთის ერთი მხარე, ერთი სამეფო უპყრია. ექვსს პატრონობს ფარსადანი, ოღონდ, რაკი შვიდივე მხარე არ ეკუთვნის, ის არ არის „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ არსებული ქვეყნიერების, ე.ი. მთელი ქვეყნიერების, მბრძანებელი. ასეთად იგი მალე იქცა, რაკილა სარიდანმა ნებაყოფლობით იკისრა მისი ვასალობა. ასე გაერთიანდა მთელი ინდოეთი, გაკეთდა პატრიოტული საქმე, ოღონდ, ამასთან ერთად, ფარსადანი გახდა მთელი ქვეყნიერების ხელმწიფე, სრული მპყრობელი, ანუ კეისარი. სარიდანი თუმცა კი მეფედ დარჩა, ოღონდ პროვინციის პატრონად. მას არა აქვს „კეისარობა“, ე.ი. ის არ არის „აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებელი“. „ინდო-ხატაელთა ამბავში“ კიდევ ერთხელ გამოჩნდება ეს გამოთქმა. კერძოდ, იქ ნათქვამია, რომ „ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა მათი სანადელი — შვიდი ტახ-

ტი სახელმწიფო, საშვებელი გაუცდელი... მასასადამე, ტარიელი გახდა „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“ მხარის მპყრობელი, ანუ მთელი ქვეყნიერების (შვიდივე მხარის) მბრძანებელი.

ამრიგად, სპარსულ და ქართულ პოემებში პირობითი და ჰიპერბოლური მხატვრული ფიგურა ერთნაირად არის გამოყენებული (ფირდოუსი და რუსთველი, გვ. 95-96).

მასასადამე, რუსთველისთვის არავითარი ისტორიული შვიდი ინდოეთი არ არსებულა სწორედ ისე, როგორც არავითარი შვიდი ივერია არ არსებობდა აკაკი წერეთლისათვის.

რა ვქნა, რომ ერთობ მენიაზება ჩემი აფორიზმი: როცა რაიმე არ იცი, არ იცი საფუძვლიანად!

4. სარიდანმა თავისი ნებით კი არ დათმო სამთავრო, არამედ იძულებით დათმო ბინესო.

ზოგჯერ ასე ხდება: როცა ტექსტი ზედმინვენით არ ვიცით, შემოქმედს თანავტორად ვუხდებით და „ვეხმარებით“ იდეების რეალიზებაში. რუსთველის თანავტორობა დიახაც რომ სასახელოა! მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ დაუკრეფავში გადავდივართ. პოემის სწორედ ამგვარი შესწორებაა, როცა ვამბობთ იმის საპირისპიროს, რაც ტექსტში მკაფიოდ და უთუმცაოდ არის მითითებული. იქ წერია: ფარსადანი ურყევად იჯდა ტახტზე; მტერი და დუშმანი დაეთრგუნა. ვერც ცხადად, ვერც ფარულად ვერავინ ვერას ჰკადრებდა; კარზე ჰქონდა ზეიმი და ზარები, მაგრამ მარტოობა მოსწყინდა, ცალკე საშვილიშვილო საქმის გაკეთების სურვილი აღეძრა და პატრონყმური ინსტიტუტის წესთა სრული დაცვით ინდოეთის ექვსი (არასრული) სამეფოს პატრონს მფარველობა სთხოვა. იქვე მკაფიოდ, არაორაზროვნად, არის მითითებული ამის მთავარი მოტივი: ქვეყნის წინაშე „სახელი დარჩეს ჩემისა ერთგულად ნამსახურისა“.

რუსთველს ხელისგულზე ედო ისტორიული ფაქტი — იოანე მარუშისძის როლი ივერიის გაერთიანების საქმეში — და თავის ამბავსაც ამ თარგზე თხზავს.

მაშ, რუსთველი ქმნის მყარ, უდავო, უნაკლო საფუძველს: ფარსადანს არავინ ამინებდა, არავინ აიძულებდა გადაეგდა ესა თუ ის ნაბიჯი, მაგრამ გამოიჩინა პირადი ინიციატივა და მოგვევლინა სანიშნუი მოქალაქედ. ამით ავტორი ამაღლებს თავის პერსონაჟს, გვიხატავს უანგარო, უებრო მამულიშვილად; პროფესორი კი დაბლა ექაჩება ამ მაღალ თამასას და ამირბარის კეთილშობილ მამას კეთილშობილების შარავანდედს ართმევს, ჩვეულებრივი ქვეგამხედვარი ფეოდალის როლს აკისრებს.

აქედან კარგადა ჩანს: ბატონ ზურაბს რომ „გეფხისტყაოსანი“ დაენერა, რა სულმდაბალი, უღირსი პიროვნება გამოვიდოდა ეგ ამაღლებული პერსონაჟი; იგი იქნებოდა ქლესა, გლისპი, ფლიდი და მშიშარა. ასე რომ, პროფესორს ადამიანისა არა სწამს. არადა გვიცხადებს, ღმერთი მწამსო!

ვერ დაეუჯერებ, რადგან ღვთის რწმენა ადამიანის რწმენით იწყება.

მაშ, ასე: არსად და არსაიდან ჩანს, ერთი სიტყვაც კი არაა სადმე გადაკრული იმაზე, რომ სარიდანი ვინმემ აიძულა, დამოუკიდებლობა დაეთმო. ამიტომაცაა საგანგებოდ ხაზგასმული: „ვერვინ ჰკადრებდის წყენასა, ვერ ცხადი, ვერცა მპარავი“. აქ ფარსადანიც იგულისხმება!

5. შვიდად შეკრული სახელმწიფოს შეთანხმება მერე დაირღვაო, — ბრძანებს ორატორი.

სინამდვილეში არავითარი პატრონყმური შეთანხმება არ დარღვეულა. პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა, გამტკიცდა, გამყარდა. აი, თუ რატომ: ფარსადანმა ჯეროვნად დააფასა სარიდანის ეგ მამულიშვილური ნაბიჯი: გაერთიანებული ქვეყნის მეორე კაცად დანიშნა — ერთდროულად არგუნა ორი სახელო: ამირბარობაცა (შინაგან საქმეთა მინისტრი) და მთავარსარდლობაც. ამავე დროს, სიტყვითაც შეამკო: შენისთანა ამირბარი ქვეყნიერებაზე არავის არა ჰყავსო; გარდა ამისა, ეძმო, ემამა და ეთაყვანა. ერთი სიტყვით, ორივე კმაყოფილი დარჩა, ხოლო ქვეყანაში სისრულის განცდამ და ბედნიერებამ დაისადგურა.

კიდევ მეტი: ფარსადანს შვილი არ ჰყავდა და, როცა შემთხვევით სარიდანსა და მის ცოლს ტარიელი გაუჩნდათ, „კეისარმა“ კიდევ ერთი პატივი მიაგო თავის თანამებრძოლ მეფეს, უთხრა, მოდი, ვიშვილებ მაგ ყმანვილს და მემკვიდრედ, მომავალ მეფედ გაგზარდო!

სარიდანს ეღირსა ის, რაზედაც არც როდის უფიქრია — მან დათესა ქვრივი (ფეტვი) და უნებლიეთ მარგალიტი მოიძოკო.

რა შეთანხმების დარღვევაზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

არავითარი „საშვილო“ და „სამშვიდო“ შეთანხმება არ დარღვეულა, პირიქით, ფარსადანის მხრივ, თავდაპირველ პატრონყმურ შეთანხმებაზე მეტი გაკეთდა. სარიდანი ისე გარდაიცვალა, უკმაყოფილო არ დარჩენილა.

ასე შექმნეს ამ ადამიანებმა დიდი ისტორია. მართალია, ამ საქმეში ღვთის ხელიც ტრიალებდა, მაგრამ ესეც უნდა ვიცოდეთ: ისტორიას ქმნიან ადამიანები. უაღამიანოდ ისტორიას მამაღმერთიც ვერ შექმნის!

6. ტელეექტორი გულუბრყვილოს გაბედულებით აცხადებს: პოემას სამი დასასრული აქვსო.

მკითხველი უჩემოდაც ხედება: შეუძლებელია ერთ პოემას სამი დასასრული ჰქონდეს! სინამდვილეში მომხსენებელს უნდა ეთქვა: სხვადასხვა მკვლევარი დასასრულს სხვადასხვაგვარად ხედავსო. თქმული კი, რა თქმა უნდა, ულოგიკოა და ყოვლად მიუღებელი. ისე კი მე, როგორც რუსთველოლოგი, მოგახსენებთ: პოემა მთავრდება მაშინ, როცა ცენტრალური გმირები (ტარიელი და ნესტანი) ინდოეთში ქორნილს გადაიხდიან, „ჯვარს იფსკვნიან“ და ტახტზე მორჭმით დასხდებიან, ხოლო რუსთველი სიამოვნებით დასძენს: შესაფერისი ვაჟი შესაფერის ქალს ერგო, ანუ აღსრულდაო „მოცალეობის“ (ცალის ცალთან შეწყვილების) პრინციპი.

მომხსენებელმა, როგორც ფოლკლორისტმა, ის აუცილებელი ცოდნა, რომელიც მას, როგორც ამ დარგის სპეციალისტს, აქვს, პოემის დასასრულის პრობლემის გერგილიანად გადასაჭრელად ვერ გამოიყენა.

მე კი შევასხენებ: ქართულ ზღაპარს მსჭვალავს მყარი აუცილებელი მოტივები, შტამპები. ესენია: სამი ძმის მოტივი; გამარჯვებული უმცროსი ძმის მოტივი; დევისა და დევთა ქვაბის მოტივი; დევის ქალის (ცოლის, ქალიშვილის ან დედის) მოტივი; გამარჯვებული წყვილის ბედნიერების გამოხატვა ერთი რიტუალით: დაქორწინებითა და აგრეთვე ტახტზე ასვლით (გახელმწიფებით).

ყოველი მათგანი მოკლედ და სქემატურად მივუყენოთ ქართული ზღაპრის ზედმინვენით მცოდნე რუსთველის ნამუშავეს.

ეპოპეაში მოცემულია სამი ძმის ერთობა: „მათ, სამთა გმირთა მნათობთა, სჭირს ერთმანერთის მონება“. ესენი კი არიან: ტარიელი, ფრიდონი, ავთანდილი.

ეპოპეაში აშკარად საცნაურია უმცროსი გამარჯვებული ძმის ამბავი: ამოცანის გადაწყვეტას ჯერ ცდილობს ყველაზე უფროსი — ტარიელი. მას არაფერი გამოსდის; მერმედ დაკარგული მზეთუნახავის აღმოჩენას შეეცდება შუათანა ძმა — ფრიდონი. მასაც კოვზი ნაცარში ჩაუვარდება; ბოლოს ბედსა ცდის უმცროსი, პირტიტველა ყმანვილი, „ჯერთ უწვერული“ ავთანდილი. ის იოლად იპოვის დაკარგულ „მარგალიტს“.

ეროვნულ ეპოსში მკაფიოდ იკითხება დევისა და დევთა ქვაბის ამბავი, ესოდენ დამახასიათებელი ზღაპრისათვის: ტარიელი და ასმათი დევებს ამოხოცავენ, დევთა ქვაბში განაპირდებიან, ჩამოშორდებიან საზოგადოებას; სპასპეტი მიაგნებს დევთა ქვაბს. როგორც ზღაპარში, ისე აქაც „დევი“ (ტარიელი) შინ არ არის და სპასპეტი „დევის ქალის“, ასმათის, მეშვეობითა და დახმარებით მიაღწევს შუაღელურ მიზანს.

ხალხური ზღაპრის ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივი ბოლოა: ავთანდილ-თინათინის და ტარიელ-ნესტანის საბოლოო გამარჯვება გამოხატულია ისე, როგორც ზღაპარში — ერთდროულად იმართება ქორნილიცა და კორონაციაც.

ამ კანონის მიხედვით, პოემას აქვს ერთადერთი დასასრული: ამბავი უნდა დაგვირგვინდეს ინდოეთში გამართული ქორნილითა და მთავარი გმირის ტახტზე ასვლით. ეგ კი ხდება „ინდო-ხატაელთა ამბავში“. მაშ, „ამბავი“ პოემის ორგანული ნაწილია!

აი, ზღაპრის ეს უმთავრესი მოტივი ჩვენმა ფოლკლორისტმა მკვლევარმა ჯეროვნად ვერ გამოიყენა პოემის ფინალის პრობლემის საარგუმენტაციოდ.

7. ლექტორმა განაცხადა: მთავარი ქრისტიანული ცნება „სინანული“ პოემაში საერთოდ არაა ნახსენებიო!

- არის, არაერთხელ არის ნახსენები: „რაცა ვთქვი, მასცა ვინანი“ (817); „ან სიმორესა ვინანი“ (837); „არ ვინანი გარდასრულსა“ (859); „სიცოცხლეა სანანელი“ (920); „თვარა დაიწყებთ ნანასა“ (1194); „ვარ აქამდისცა ნანითა“ (1302); „არა სჭირდეს, არ ინანეს“ (1424); „განანებ მაგა მოყმისა ყოლასა“ (1100); „მისცა სიტყვისა ნანანი“ (1608).

8. ტელეექტორმა ბრძანა: რა შესაყვარებელია ტარიელიო! არადა, რუსთველის ცენტრალური დადებითი გმირი სწორედ ამირბარია; მაგრამ მთავარი ისაა, რომ პროფესორი ლოგიკის ჯაჭვებში გაიხლართა. ჯერ ერთი, გამოდის, რომ პოემის ყველაზე ბრძენსა და ლამაზ ქალს, ნესტან-დარეჯანს, რომლის მსგავსიც დედამინაზე არავინაა (ნესტ ანდარე ჯეჰან = არავინაა პირსა ზედა მინისასა), უაზროდ შეჰყვარებია ამირბარი; მეორეც, თვითონ ავტორი პროლოგშივე გვაფრთხილებს, რომ მას უგონოდ უყვარს და მოსწონს მთავარი გმირი:

მე, რუსთველი, ხელობითა ვიქ საქმესა ამა დარი: ვის ჰმორჩილობს ჯარი სპათა,

მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი (8).

ვისაც ემორჩილება ინდოეთის სპა-ჯარი, იმის სიყვარულითა ვარ გახლებულიო; მაგრამ ამასაც არა სჯერდება და მკითხველსაც მოუწოდებს, შეიბრალოს ეს „სიყვარულით გატანჯული“ გმირი და მისთვის ცრემლიც კი დაღვაროს:

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი!

პროფესორს დაავიწყდა, რომ პოემის პროლოგში არც ერთი (!) გმირის სახელი სახელდებით არაა მოხსენიებული მაშინ, როდესაც ტარიელი ორჯერ ხმთანდება.

ესეც ფრიად მნიშვნელოვანია!

მნიშვნელოვანია სხვა რაიმეც:

მსოფლიო ლიტერატურაში პირველი „ტანჯული მიჯნური“ დახატა ნიზამიმ, მეორე — რუსთველმა; როგორც განჯევი განიცდის და დარდობს მაჯუნის ტანჯვას, ისე რუსთველი — ტარიელისას. შეუძლებელია ასეთი გმირი XII – XV საუკუნეებში მკითხველს არ მოსწონებოდა და არ შეეყვარებოდა. ამ მოყვარულთა შორის არიან თვითონ ავტორებიც.

ერთსაც დავსძენდი:


პოემა იწყება და მთავრდება ავთანდილის (არაბეთის) ამბით, ხოლო ტარიელის (ინდოეთის) ამბავი ჩასმულია არაბეთის ამბავში. ყოველივე ეს უნდა წარმოვიდგინოთ ასე: არაბეთის ამბავი არის ოქროს ბეჭედი, რომელშიც ჩასმულია ბრილიანტის თვალი, ანუ ინდოეთის ამბავი. ბრილიანტი კი ყოველთვის მეტია, ვიდრე — ოქრო. ცენტრალურ და საყვარელ პიროვნებად ამადაც გვიხატავს ავტორი ამირბარს, ვისი სახელიც ჰქვია თავად პოემას — „გეფხისტყაოსანი“.

9. აგოგრაფია არ არის რეალობის ასახვა, შექსპირის ტექსტები — დიახაცო.

ეგ რომ გავიგონე, გავოგნდი: მწერლობის არც ერთი დარგი არ არის ისე რეალისტური, როგორც აგოგრაფია. კიდევ მეტი: ეს დარგი სუპერრეალისტური დარგია, ფაქტობრივად ბიოგრაფიული რომანებისაგან შედგება. „შუშანიკის ნამებაში“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ზედმინვენით ზუსტად და სარკისებურად არის ასახული იმდროინდელი რეალობა, პირთა ცხოვრება, ყოფა, ბიოგრაფიები. ასე ზუსტად და მარჯვედ ისტორიკოსიც კი ვერ აღწერდა სინამდვილეს, ხოლო შექსპირი გამოგონილ, „ნატყუარ“ ამბებს გვიყვება და, თუ რეალისტურ ასახვაზე მიდგება საქმე, არა მგონია ამ მხრივ „რომეო და ჯულიეტამ“ გიორგი მერჩულის რომანს მეტოქეობა გაუწიოს.

ტელემარტილობაში სხვაც ბევრი რამ იყო სადავო და მიუღებელი. მხოლოდ აღნიშნულზე თამამად იმად შეგვირდი, რათა ამ კრიტიკული წერილის ხერხიანი სათაური გამემართლებინა. შესაძლოა, მავანს ამ სტატიის სტილი თავხედურადაც მოეჩვენოს, ოღონდ ერთსაც დავსძენ: უცოდინარობის თავხედობას ცოდნის თავხედობა სჯობს, ხოლო მეგობარი მკითხველის წინაშე ჩემი მონივნება არაერთხელ გამოიხატავს. ახლაც ასეა — მკითხველის წინაშე თავმდაბლობა ამაზე შორს ვეღარ წავა: ამ წერილს ისე დაბლა ვანერს ხელს, უფრო ქვემოთ მისი ხელმოწერა შეუძლებელია.

მურმან თავდიშვილი
აგვისტო, 2022



ხოზე ადელიშვილი - 85

85 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ხოზე ივანეს ძე ადელიშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ხოზე!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან მხცოვან, ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 85 წლისთავს.

ქართველი მკითხველი გიცნობთ, როგორც გულწრფელ, უშუალო, თავისთავად შემოქმედს, რომელიც გაცაცებით უმღერის მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს, მისი სატიკვარი ანუხებს და მისი სიხარული უხარია.

თქვენი შემოქმედებითი ნათლობა 1960 წელს პოეტების საუფლოში - ქუთაისში შედგა, როდესაც გაზეთ „ქუთაისში“ დაიბეჭდა ლექსი „გალაკტიონის პოეტრეტიკისათვის“. მას შემდეგ თქვენი ლექსები პერიოდულად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

თქვენი პოეტური კრებულები, ისეთები, როგორცაა „გრემი“, „იმერეთის მონატრება“, „სიყვარული გრძელდება“, „სიყვარულის ახსნა-1“, „სიყვარულის ახსნა-2“, „სიყვარულისთვის მოველ“, ქართველი მკითხველის ცხოველი ინტერესით სარგებლობს. მათ ხომ გულწრფელობა და უშუალოება, პოეტური აზროვნება და ორიგინალობისკენ სწრაფვა გამოარჩევს. როგორ შეიძლება, ცალკე არ გამოიყოს ის სევდიანი და ტკივილიანი ლექსები, რომლებიც მშობლების ხსოვნას მიუძღვენით.

თქვენ ხომ სისხლბორცეულად ხართ დაკავშირებული ქართულ მწერლობასთან. მრავალი წელი მუშობდით საქართველოს მწერალთა

კავშირში, არჩეული იყავით მწერალთა კავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ და ყველას გვახსოვს თქვენი პრინციპულობა და თავდადება, რომ არავის და არაფერს შეელახა ქართველი მწერლის საპატიო სახელი.

თქვენი მეტად ნაყოფიერი მოღვაწეობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, მონიჭებული გაქვთ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის და საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემიები.

ბატონო ხოზე!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ღვანდემოსილ შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩემი ხოზე

მრავალბრძოლანახად ქართველ მწერალთა თაობები გიცნობენ შენ, მწერალთა კავშირში ათეული წლების განმავლობაში ფუტკარივით მოფუსფუსე ხოზე ადელიშვილს.

იცვლებოდნენ თავმჯდომარეები და მდივნები, ყრილობები ახალ პრეზიდიუმებს და გამგეობებს ირჩევდნენ, მაგრამ შენ უცვლელად იდექ შენს საპატიო საგუშაგოზე.

ნამალი გვჭირდებოდა? ახალი წიგნისთვის ქალაქს ვერ ვშოულობდით? ახალგაზრდა მწერალს თავშესაფარი არ გააჩნდა?

აქაც და იქაც გაჭირვების ტალკვესი შენ იყავი.

ახლახან „ფეისბუქში“ გალაკტიონ ტაბიძის განცხადება გამოფინეს: „ლურჯა ცხენების“ ავტორი მთავრობას მიმართავს: „ტანსაცმელი და ფეხსაცმელი შემომეცვითა, ზამთარი მოდის. სახლიდან გამოსვლის საშუალებას მოკლებული ვარ. იქნებ ნისიად მომიხერხოთ კოსტუმი, პალტო და ფეხსაცმელი. გაძლევთ პირობას, რომ საფასურს თანდათან ჩემი ჰონორარიდან გადავიხდი“.

განცხადების მარჯვენა, ზედა მხარეს იხილავთ ხელისუფლების წარმომადგენლის მკაცრ რეზოლუციას: „უარი ეთქვას“.

ფიქრისთვის ვინ მოუკლავთ და ვფიქრობ ჩემთვის: შენ ასეთ სულელურ რეზოლუციას რომ იხილავდი, გაბრაზდებოდი, გაიქცეოდი რაიკომ-ალმასკომში, თუ ვერაფერს მი აღწევდი, იმას მაინც გააგებინებდი, რომ გალაკტიონს „ასეთ პატარა საქმეზე“ უარი არ ეკადრებოდა.

ვინ იცის, შოთა ნიშნიანიძე და შენ რომ იქ ყოფილიყავით, იქნებ მწერალ-

თმოდულე პრეზიდენტს ვერ გაებედა 2007 წელს მწერალთათვის კუთვნილი სასახლის წართმევა.

მორჩმით ზიხარ შენ ახლა ჩვენს წინ 85 წლის ჭარმაგი პოეტი.

რა ლამაზად დაბერებულხარ.

თმა ისევ ისე გაქვს, ერთი ღერიც არ გაკლია.

ესაა, გათეთრებულხარ, ჩემო ხოზე.

რა დრო გასულა.

ბევრი რამ გადაგვხდა. არაერთ მოვლენაზე შეხედულვაც შევიცვალეთ, მეგობრებიც შემოგვეცალა, მაგრამ ერთ რამეს ძველებურად ვეერთგულვით. ეს არის ჩვენი წმინდა ბომონის - პოეზიისადმი სიყვარული.

თუ გახსოვს, ამ ორმოცდაათი წლის წინ შენი პირველი წიგნის წინასიტყვაობაში მოგიწონე შენი სწორი მოქალაქეობრივი პოზიცია და სათქმელის სადად ოსტატურად გამოხატვის ხელოვნება.

ახლა შენს ახალ კრებულს რომ ვკითხულობდი („სიყვარულისთვის მოველ“), კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ლიტერატურული გამარჯვებისთვის სწორედ ეს ორი რამაა აუცილებელი.

რა გამარჯვებას ვგულისხმობ?

შენ ხომ ამ მშვენიერი წიგნისთვის დაბადების 85 წლისთავთან დაკავშირებით ღირსეულად მოგენიჭა გალაკტიონის პრემია.

გილოცავ, ჩემო ხოზე!

„მაგრად დექ“, არ შეგეშინდეს! შენ კაცურად იცხოვრე.

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

85 წლისა გამხდარა ხოზე ადელიშვილი - მუდამ ტკბილმოუბარი და პირლიმილიანი, პოეზიაზე შეყვარებული, საქმის კაცი, ჩვენი ძველი მეგობარი.

იგი დიდხანს მუშაობდა მწერალთა კავშირში, ემსახურებოდა მწერლობას და თავადაც მონაწილეობდა შემოქმედებით პროცესში. აი, კიდევ ერთხელ გადავხედე მისი ლექსების კრებულს - ეს მისი ცხოვრების დღიურია, მართალი, გულწრფელი, ნათელი წიგნი.

მახსოვს მისი ზეპირი ავტობიოგრაფიული ნოველები, იუმორით და სიკეთით შეზავებული. რატომღაც ისინი ქალაქზე არ გადაუტანია, თორემ მკითხველი მათაც ინტერესით გაეცნობოდა.

კარგად ყოფნა და დღეგრძელობა მინდა ვუსურვო ხოზე ადელიშვილს - ქართული ლექსის მსახურსა და პროპაგანდისტს“.

სოსო სიგუა

ხოზე ადელიშვილი

ველარ ვიტან მიდი-მოდის

უკვე ისე დავიღალე მოთმინება აღარ მყოფნის, სინყნარეში ყოფნა მინდა ველარ ვიტან მიდი-მოდის. მალლა ღმერთსაც დავავინყდი აღარც დაბლა მწყალობს ვინმე. ყველაფერზე გული მომდის დარდი მანვეს გულზე მძიმე. უცნობსა და საეჭვო კაცს სახლის კარებს აღარ ვუღებ, ცალკე ყოფნას მივეჩვიე, ყველას ჩამოვცილდი უკვე. ღვინოს დავანებე თავი, ქალებს მაინც ვეტანები. ჯგირო გამოვიყურები ჩემს ასაკთან შედარებით, ისე, როგორც ადრე იყო, ირგვლივ სიმშვიდეა სრული, ყველგან სინყნარეა აქეთ დამშვიდებული მაქვთ გული. უკვე ისე დავიღელე მოთმინება აღარ მყოფნის, სინყნარეში ყოფნა მინდა ველარ ვიტან მიდი-მოდის.

დანის - ლევანის ქალღ...

ასე იყო და ასეა დღემდე, სიცოცხლე მიდის, სიკვდილი მოდის, ჩემი არ იყოს ამქვეყნად მეტხანს, არც შენ გაქვს დიდი სიცოცხლის ფოხი. როგორც ყოველთვის შენსკენ მაქვს თვალი, შენთან შეხვედრას ყოველდღე ვნატრობ. როდესაც სხვაგან მივდივართ ერთად, ქუჩაში დიდხანს ვერ გტოვებ მარტო შეცვლილი ჩანხარ ბოლო დროს უფრო, ვერ ხედავ თვალით, არ გესმის ყურში, ცუდ ხასიათზე იღვიძებ დილით, დროდადრო მწარე დარდი მაქვს გულში. არც შენ არ გწყალობს მუდმივად ბედი, გვიან წვები და იღვიძებ ადრე, არ გეკარება თვალებზე რული, ნაკლებად გძინავს ჩემსავით ღამე. დაღონებული დაგტოვე გუშინ, ერთად ვიყავით მე და შენ ნუხელ, დანი, ამკარად გეტყობა წლები, შენც ასაკში ხარ ჩემსავით უკვე. ასე იყო და ასეა დღემდე, სიცოცხლე მიდის, სიკვდილი მოდის, ჩემი არ იყოს, ამქვეყნად მეტხანს, არც შენ გაქვს დიდი სიცოცხლის ფოხი.

ათასი ჭირის მომსწრე, რვაასზე მეტი წელი, ძველი ცხოვრების მონმე თავზე დაგვეყურებს გრემი. ჩემო სამშობლო მხარე, არ დაგივინყებ წამით გული ტრფობით მაქვს სავესე, მოგეფერები კრძალვით მემახსოვრები მუდამ, ვერას დამაკლებს წლები, ზურმუხტოვანი მდელო, ზურმუხტოვანი მთები, მეტი ალერსით უფრო შევხედავ ზეცის თავანს სიყვარულისთვის მოველ და სიყვარულით წავალ.

— აღარ გინდა, მოგონებებიც მაღიზიანებს. ხომ გითხარი დამთავრდა-მეთქი!

— მოიცა, ეს მათქმევინე! შენი ხმა, თუ ქარი მინივის ყურთან? გავჩერდი, გზას გავეხდე, ალაგ-ალაგ გუბებზე იდგა, მღვრიე გუბები. ცრემლი ჩამდგარიყო ნაგუბარ ადგილებში. მღვრიე ცრემლში გავეშვიპე რამდენჯერმე, ფეხები დამისველდა. სინათლე ჩაქრა იმ ღამეს. შენ სახლთან შევედექი. სარკმელს დავეკვირდი. სინათლის შუქი კრთოდა და შენი ბებოს ნაქონი ძველიძევილი პიანინოს კლავიშებზე ატირებული მელოდია იყოფებოდა, ქარიშხალგადავლილ ძველ უბანში. მივხვდი, რო შენი თითები ეფერებოდა კლავიშებს. იმ საოცარი ხმით გავივსე, თითქო ღამის ნაწილად ვიქეცი.

მივედი სახლში, მიუჯექი მაგიდას, ფურცლები მოვებნე, პატარა, დაღუული ფანქარიც ვიპოვე და ვწერდი, სანამ თითებში არ ჩამაკვდა ის ჩემი ცოდვით სავე. დილით გადავათეთრე ბატიფეხურით ნაწერი და დავარქე: „ღამის წერილი უცნობ ქალიშვილს“.

— აღარ მინდა, მე ჩაციკვლები არ მახსიათებს, ეგ ჩემი სტილი არაა.

მოგონილი ყოფილა ყველაფერი, ჩემისთანა გონივების და სულით ავადმყოფების მიერ.

— თავს არ გაცოდებ.

— და არც შემეცოდები.

— რალაც ინყება და მთავრდება. მე მეგონა, რო ზოგიერთი რამ არ მთავრდებოდა.

— მთავრდება, მთავრდება, დასამთავრებელი რაც მალე დამთავრდება, უკეთესია.

— აი, მიხაკები! მივიფარე, შუა გზაზე, მეჩვენება რო ცხედარს მივყვები, ოღონდ უჭირისუფლო ცხედარს.

„მკვდარი ძალივით მივათრევე ცხედარს, უცრემლოს და თან უჭირისუფლოს“.

— აღარც ეგ ლექსებია საჭირო.

— დასასრულს აღარც ლექსები უხდება? მხოლოდ სიჩუმე და დაყრდნობა მიხაკები, ბავშვები რო ყრინ ხოლმე სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე.

ტორდება მანქანების ნაკადი, ჭყვიტინ-ჭყვიტინი გაუდით. მე შუა გზაზე მივბარბაცებ.

— სამუდამოდ დამთავრდა... სამუდამოდ დამთავრდა. წითელი მიხაკები, უფრო მეტი ვარდისფერი... მიმეჩვენა, თითქო ის მეყვავილე მომდევდა გვერდით, მალე-მალე ხელს მახებდა, მაგრამ ჩემი ყურადღება ვერაფრით მიიქცია. ბოლოს შევხვდე გაბეცებული, ცარიელი თვალებით, ვიცანი.

— ხო გადაგიხადე!

— მაპატიე, ბოდიში ვიგარო, ის კაცი მოვიდა და მომიტანა ფული, ტყუილა გედავებოდი, — სახეს ბრეცავდა, როგორ მოებოდიშენთან, აღარ იცოდა.

— რა ფული, რა გინდა ჩემგან.

— რო გედავებოდი, შემეშალა, ტყუილა გაკადრე რალაცები, ამ ცხოვრებამ სულ გამომასტირა. ისე, მაგრა კი გგავდა ის კაცი, — თავის მართლების ძაფი მაინც დაიტოვა, — რა ვქნა?! — მხრები აიჩჩა.

— არა ხარ მართალი, — შევხედე და შევეღრინე.

— ბოდიში ხო მოგიხადე.

— რა ბოდიში, ნამდვილად მე ვიყავი ის კაცი, ვინც შენგან ნისიად ნაილო ყვავილები.

გაშრა, გაქვავდა მეყვავილე, ენა ჩაუფარდა, გულის ჯიბიდან ამოღებულ ფულს უაზროდ დასცქეროდა და...

— მართლა მე ვიყავი.

— როგორ... — ძლივს ამოილულულა, — აბა, ის კაცი...

— ხდება ეგეთი რალაცები. შენ კიდე არ იცი, რა უცნაურია ცხოვრება.

ვილაც კაცმა ჩამიარა. თან უკან იყურებოდა, ნაწილად გზაზე დაყრდნობა მიხაკებს აკვირდებოდა, მერე მე მომასტერდა. შეტბორილი მანქანები ველ-არ იძვრიან. ესენიც იმ პროცესისა მისდევენ ალბათ, „იმ“ პროცესისა.

თავი გადმოყო მანქანიდან მძღოლმა.

— ვინა ხარ, კაცი, შენა! — თან სიგნალი მოაყოლა, — გადადი გვერდზე.

— სულ გაგიჟდა ხალხი, სულ გადაირია! მისი სახე კარგად არ დამინახავს, მაგრამ გემრიელად გადავუკურთხე და მიხაკების გადაყრა გავაგრძელე.

— დამთავრდა, სულ დამთავრდა. ხო ეგრეა.

— მე უკვე გასაგებად ვთქვი და ჯობია აღარაფერი მკითხო.

„მომისწრებს წვიმა შემოდგომური“...

— მკვდარს ლექსები აღარ აცოცხლებს.

„ვიცი შენს ხმაზე იტირებს ქარი“.

სასაფლაოს შესასვლელამდე მიმყვან მიხაკები ისე გამოთავდა ვერ გავიგე. ამბობენ, ყვავილები სამოთხისკენ მიმავალ გზას უჩვენებს მიცვალებულსო, სამოთხისკენ... და სად არის ეგ სამოთხე...

ჩვენს მიერ გამოგონილი, ჩვენს მიერ აღმოჩენილი და მერე ისევ ჩვენთვის დაკარგული, გაუჩინარებული. როგორ გულდასმით, დიდი გარჯით ვმარხავთ მოგონებებს... ერთხელ მოსულები, ბედნიერებისათვის მოსულები და უბედურების ძიებაში თავჩარგულები და სახედაკარგულები.

აღარ ისმოდა სიგნალების ხმა. ჩაიარეს მანქანებმა, ნაწილად გზისკენ აღარ მივტრიალებულვარ, ვიცი, მანქანებით დასრესილი მიხაკები ეყრებოდა. დასრესილი მიხაკები, დასრესილი მოგონებები.

* * *

სულ იმ საშინელ დღეზე ვფიქრობდი, თითქო მეც იმ დღეს დავმთავრდი. ჰო, ეგრე იყო, იტყოდი წერტილი დაესვა სამყაროს, დედამინისხელა წერტილი.

ჩაიარა მატარებელმა, შემოიკვილა და ჩაიარა. თითქო ჩემს სულზე ჩაირბინეს ვაგონებმა. ხათქახუთქით ჩაიქროლეს. გავცქეროდი თვალცრემლიანი, ვიდრე არ გაუჩინარდა.

სულ ის მიხაკები მელანდებოდა, ნაწილად გზაზე დაყრდილი მიხაკები. მეყვავილეც მახსენდებოდა. ვილაცის მიერ წაღებული ვარდების ფული რო გადამახდევინა.

ხან მეცინებოდა, ხან მეტირებოდა. უფრო მეტირებოდა. არ არის ადვილი დასასრული, არც მდუმარება ადვილი, ღმერთშემოსილი ადამიანების საქმეა მდუმარება, მე კი ღმერთისაგან განმოსილი ვარ, მაგონია მიხაკების დაყრით გაავაცილე სიყვარული.

მერე სულ მარტო ვცხოვრობდი, ცოლი მე არ მყოლია, შვილი და ძირი. მშობლები დიდი ხნის წინ გარდაცვლილები იყვნენ. კიდევ კარგი ჩემს გაუგებრობებით გაძევილ ცხოვრებას არ მოქსნრენ.

მე ვერავინ გამიგებდა, ვერც ცოლი, ვერც შვილი, ვერც მშობლები, ვერც ნაცნობები და ვერც მეგობრები. ჩემს თავში ვცხოვრობდი, გამურული, გამოჭვარტლულ ობობების ქსელში გახვეული, ობის და ჭუჭყის სუნით გაუღუნთილ „ქოხში“. იქ მზის სხივიც ვერ აღწევდა. ვის რაში უნდა დავნდურებოდე? არადა, მეც შემეძლო მქონოდა ჩემი სამოთხე, თავისებური სამოთხე, სადაც ჩემებურ ნეტარებას მეც ვიგრძნობდი, მაგრამ იკარგება სამოთხეები. მე თვითონ დავკარგე და გამოვემწყვდი ასე, ვიდრე ჩემმა მეზობლებმა ფსიქიატრიულში არ ნამიყვანეს.

გვეროდი, ვლრაილებდი, ვანტერვედი თურმე იქაურობას. მე ვერ ვგრძნობდი, რა გითხრათ, აბა, ისინი ასე ამბობდნენ. მიმიყვანეს და შემამწყვდიეს.

და იცით ვინ დამხვდა იქა?

თმაჩამოფერფლილი, მკერდჩამობერტყილი, ხორცშემოჭმნარი, მაგრამ თვალბრაზმცხრალი... აბა, თუ მიხვდებით?

* * *

დღეს ხო ყველა უცნაურია და რალა გასაკვირია რო ეს ჩემი მეგობარი, ჩემი ალუფზულ-დალუფზული ტექსტების ამკრეფი ნატაც უცნაურ არსებად გადაქცეულიყო. ჩემი ნაწერის ნამკითხველი (ხელნაწერს ვგულისხმობ), დედამინაზე არავინ მეგულეობა მის ვარდს.

რას ვუკეთებ ამ უმშვენიერეს ქართულ გრაფემებს, მე ნამუსი მაქვს? როგორც იმ მეყვავილემ უთხრა მიხაკებზე მისულ მყიდველს. ვხლართავ, ვტანჯავ... არადა, რა კალიგრაფია მქონდა, კედლის გაზეთები და რამე... სკოლაში. ნატა შემომწყრა ერთხელ და შიში ვიგრძენი, ნაუკითხავი, გაუპატიოსნებული ტექსტები მრჩებოდა...

მერე ისევ შევრიგდით, მოთხრობებმა შევარიგეს, იებმა, მიხაკებმა, წითელგულა ჩიტებმა, საყდარს შეყუჟულმა მტრედებმა და რა ვიცი კიდევ... ნეტავ მოწონს ჩემი ნაცოდელიარი ნატას? რო არ მოწონდეს, დარწმუნებული ვარ, რო ხელს არ მოკიდებდა, მაგრამ აი, ამ ამბავმა კი ჩამაფიქრა.

მე - კი, მაგრამ მიხაკებზე რო დავწერე, ხო იქ წყდებოდა, უფრო სწორად იქ დავამთავრე, სასაფლაოსთან...

ნატა - კი იქ მთავრდებოდა.

მე - და გაგრძელება საიდან გარნდა, ფსიქიატრიული, მაგალითად.

ნატა - იცინის, იცინის, სულ ვარსკვლავები სცვივა თავლისფერი თვალებიდან, მზუასსლექტილი ლოყები ეჩხვლებოდა.

მე - რა ვაქცინებს?

ნატა - მე გავაგრძელებ, რალაცნაირად მომინდა, რა ვიცი, აბა! - ისევ ეშმაკურად ჩაეცინა, - ვითომ შენია, თუ გინდა თანავგორად მიმანერე, - ჩაიკისკისა, - ისე ზოგჯერ ტექსტს ვერ ვკითხულობ და გუმანით ვხვდები ხოლმე რა ეწერება.

მე - ეეეეე... აქ ნატა, იქ მეყვავილე, მოკლედ...



ნოდარ კობერიძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მტკიცენული დანაკარგი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნოდარ პარმენის ძე კობერიძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მძიებელი სულის შემოქმედი, რომელსაც სხვათაგან ფსიქოლოგიური პორტრეტების ხატვისა და ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში წვდომის დაუოკებელი სწრაფვა გამოარჩევდა.

ნოდარ კობერიძე დაიბადა 1950 წლის 5 აგვისტოს თბილისში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1974 წელს დაასრულა. მას შემდეგ იგი მუშაობდა თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლად, მე-18 პროფტექნიკური სასწავლებლის პედაგოგად, რედაქტორობდა გაზეთებს („ქართული ფეხბურთი“, „თემი“, „სარანგი“, „ალორძინება“, „ტაო-კლარჯეთი“, „მესამე ათასწლეული“, „აღმაშენებელი“).

ნოდარ კობერიძე თანადამფუძნებელი და პრეზიდენტის წევრი იყო სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოებისა, დამფუძნებელი და პრეზიდენტი საზოგადოება „ტაო-კლარჯეთისა“, თანადამფუძნებელი და პრეზიდენტის წევრი კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებისა, ერთ-ერთი დამფუძნებელი - საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის,

ასეა უპირატესო გულზე

ხშირად გაიგონებთ, ან მოისმენთ ფრაზას - გული არ ბერდებაო! ტყუილია! პირველი გული ბერდება. აბა, მიმოიხედეთ, ქვეყანა სავსეა გულდაბერებული ადამიანებით. ისინი თავჩახრილები მიაბიჯებენ თავიანთი ცხოვრების ტრასაზე, ადრე ბეტონისა რომ ეგონათ და საიდანაც ღამის ყოველ წამს ფრინდებოდნენ ათასგვარი ოცნებანი, იმედები, ხშირად თავადაც ატაცინლან ცაში, მაგრამ ახლა ამ ტრასას სარეველა მოსდებია, რომელსაც უტიფრად შეუღრღნავს თითქოსდა უძლეველი რკინა-ბეტონი და ახლა გაყვითლებულ-გამხმარი, ფეხებში გვებლანდება არაქათამოცლილ არსებებს, ადრე პიროვნებებს რომ გვეძახდნენ და ახლა თავისმოტყუება რომ გვისწავლია, რათა ეგებ ბოლომდე მიგვაჩანჩალოს ამ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციისა, არჩეული იყო გაზეთ „მარავანდისა“ და ჟურნალ „ნობათის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი...

ნოდარ კობერიძის ლიტერატურული დებიუტი შედგა, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობა „ჟოკის ბედის ნებიერი“. მას შემდეგ მწერლის ნაწარმოებები - რომანები, მოთხრობები, ნოველები, პუბლიცისტური სტატიები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ პერიოდიკაში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი მუდამ დიდი დაინტერესებით ეცნობოდა ნოდარ კობერიძის ისეთ პროზაულ კრებულებს, როგორც იყო „წყალდიდობა“, „ბედისწერა საქართველოსი“, „რომ გაიმარჯვო ერეტიკოსი უნდა იყო“, „ლახტის წრეში“, „მეორე ფორმა“, „ორი გოლგოთა“, „აღდგომის ღამე ქაიროში, მამლუქთა სასაფლაოზე“, „შირე-გორჯის საფლავის ძიებაში“.

მისი ნაწარმოებების გამიერები ჩვენი მშფოთვარე და ტკივილიანი ეპოქის მკვიდრნი არიან, რომლებიც უთანასწორო ბრძოლას ეწევიან ბოროტებასთან, ორგულობასთან, ორპირობასთან და ხშირად იმარჯვებენ კიდეც...

ნოდარ კობერიძის პუბლიცისტური სტატიების კრებულები „პირმშო“, „ვინც მახვლს ამოიღებს“ და „ათი დღე რობერტთან ერთად“ ავტორის მოქალაქეობრივი პოზიციის შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენს.

ნოდარ კობერიძის ნაწარმოებები ითარგმნა ინგლისურ, გერმანულ, ესტონურ, მოლდავურ და რუსულ ენებზე.

ნოდარ კობერიძის მრავალწლიანი ღვაწლი დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მას მინიჭებული ჰქონდა ქართული მწერლობის რაინდის საპატიო ნიშანი.

ნოდარ კობერიძე - მწერალი, მოღვაწე, მამულიშვილი დიდხანს დარჩება მისი მეგობარი ქართველი მწერლებისა და მკითხველების ხსოვნაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ჩვენგანვე მრავალჯერ გატყვილ-ნაღალატევემა ძრავამ ჩვენი ცხოვრებისამ. მეც მათ რიგს მივეკუთნები, მეც ხანდახან მიჩნდება ილუზია, რომ საკმარისია ფეხს ავუჩქარო, წინ გავიჭრა... მაგრამ ბებერი გული იქვე რამეზე ჩამომსვამს და ბაგა-ბუვით მისაყვედურებს, შენ ხომ არ გაგიჟდიო, მეც თავჩაქინდრული ვემორჩილები, არადა როგორ მომინდება ხოლმე... მაგრამ სამწუხაროდ დაბერებულა, გულით ცაში ძველებურად აჭრა უკვე გვიანაა,

ილუზიებიც ქრებიან და მეც მალე ჭრიალით შევალე იმ კარიბჭეს, რომელსაც სამარის კარი ჰქვია...

ნეტავ აქედან მაინც მოვახერხებთ კიდევ ერთხელ ცაში აჭრას, ჩვენი დანჯღრეული... მოვახერხებთ!? - ავაშენა ღმერთმა.

ჰმ, გული არ ბერდებაო...
ნოდარ კობერიძე

ოდა ვაზსა და რუსთაველს

რუსთაველის დაბადების 800 წლისთავი რომ აღინიშნა, აზრად მომივიდა შოთასთვის მიმეძღვნა 800-სტრიქონიანი პოემა. განხორციელდება რომ ვერ შევძელი, 14 წლისამ 800 ძირი ვაზის რქით გავაშენე ვენახი.

მოგვიანებით კი, საგარეჯოში, კახეთის გზატკეცილზე დიმიტრი ბარამაშვილისგან ვიყიდე ზუსტად 800 მ2 მიწა და იქ ახლებურად გავაშენე რუსთაველის სახელობის ვენახი, მისი იუბილე ჩემებურად ასე აღვნიშნე მეურნეობის გამოყოფილ "კოსტაფის" ფართობზეც, სადაც მივიღე მრავალი თვალსაჩინო სტუმარი, მათ შორის პრემიერ-მინისტრები და ქვეყნის პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

ვაზს მივუძღვენი არაერთი ლექსი იმგვარად, რომ ვაზიც ავალაპარაკე.

ვაზი გამძლე ვარ გვაღვინა, ეს ჩემი ფეხვის არსია, როგორც ვენახი კაცისთვის ცხოვრების შინაარსია, ამაყად დავძენ, ნაღვლი, აქ არაფერი ფარსია, ვაზის და ღვინის ქვეყანა კვლავ აყვავების ღირსია.

რქანიტელი ჯიშით ლაღობს, შემედიგი გვერდში სარო, შემოვხეხვევი შვილივით, ველარ გადამტეხს ქარიო, გამიფხვიერეთ ფეხვები, ავალორძინო ზვარიო, რომ სიამაყით ვატარო სამშობლოს დროშის ტარიო.

850 წლის რუსთაველს მივუძღვენი ერგასი წლის მანძილზე დანერვილი 850-სტრიქონიანი პოემა. იხილეთ „ვაზისა და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ და „წუთისოფლის წიგნი“ („ბიბლუსის“ მალაზიებში), რისთვისაც მომენიჭა ნიკო ნიკოლაძის პრემია. სახელოვანი მამულიშვილის პრემიამ ისე გამათამაშა, რომ პოემიდან ამოვიღე ნაწილი სტრიქონებისა, რომლებსაც გთავაზობთ:

ერთგულება და ერთობა, დღეს მართლა საკვირველია, რადგან ამქვეყნად მრავალი სიკეთის დამკარგველია, საუბედუროდ ასეა, გუშინდლის საფუძველია, ეს დალოცვილი ქვეყანა ხომ ჩვენი მოსართველია.

მწადის, მუდამ ტურფა იყოს არემარე, გზა და კვალი, ღირსეულად მოიხადოს ყველა კაცმა თავის ვალი, საკადრისად ფასდებოდეს მარჯვენა და მოსავალი, რომ ფრიადზე განვითარდეს საქართველოს მომავალი.

მოსურნე ვარ კვლავაც კარგის: ერსა ჭირი მოჰკლებოდეს, მტრობა, შური და ქიშპობა ზღვის ქაფით გაქრებოდეს ერთგულება, სიყვარული მატულობდეს, მყარდებოდეს, გულსახარად საქართველო ქართველებით მრავლდებოდეს.

სიახლეები ღვინია, გონებას არა სწყინდება, სახალხოვად ვამხელ საღვინოს, სტრიქონებითაც მშვენდება, რითმების ნაღმა წყობისთვის დღე ჩინებულად თენდება, სამშობლო ტკბილად სუყველგან ნოვაციებით შენდება. სიმართლე ხშირად ამქვეყნად უსამართლობით დგინდება.

სიდუხჭირე მოგვმორდება, არ დავრჩებით უპოვარი, ნახევრადაც რომ ასრულდეს რუსთაველის სათხოვარი ისე ვთესოთ სიყვარული, ვით თესავდა მაცხოვარი, ჩვენს მინაზე აღარ ივლის აღარც ერთი მათხოვარი.

გზას დავადექ დავით-გარეჯს, რომ ვენვიე საგარეჯოს, სამი ნატვრა გულს დამესვა – კაცი ქველად გაისარჯოს, რომ არასდროს არვინ არსად ბოროტება არ დახარჯოს, საქართველოს ყველა კუთხეს ზეცის ძალით გაუმარჯოს!

რუსთაველისა აზრები სამარადისოდ ვრცელდება, მისი მკითხველი ნათლდება, აფორიზმებით მშვენდება, ქართველი კაცის გონება რადგან თანდათან ბრწყინდება, მიზნად ვაქცივით სამშობლოს აყვავება და დიდება.

შოთავ, უკვდავო, შენ გიცქერ, გულს ფიქრი არა ჩერდება, ჩემგან მოძღვნილი შაირი საჩუქარს შეეფარდება, მჯერა, პოემა დარჩება, არასდროს დამიბერდება, გაუათასდეს ბარაქა, ვინაც სიკეთით ირჯება.

ღმერთო, ღმერთო, გვედრები, ბოროტება ყველას სძულდეს, ავსა სისხლი განენმინდოს და სიავე დაუსრულდეს, ქველსა სევდა შენ მოაკელ, მას სიცოცხლე გაუგრძელდეს, კაცსა კარგი რაცა სურდეს, სანადელი აუსრულდეს.

დღეს რომ კომლები იცლება, ესაა უბედურობა, ამის მიზეზი ერთია – მძლავრობდა უკეთურობა, ჭირს ვერა ვმაღავ, ვაჟღერებ, არაა აქა ხუმრობა, გადაგვიწყვიტავს სატკივარს ნაღმა მავალი მთავრობა.

ანდერძადა ვნერ ნადილსა, მოწმედა ზეცის თვლია, მყარი ნაბიჯი საჩინო მომავლისათვის კვალია, შორეულ შთამომავლისთვის ნატიფად გასაკვალია, ნატერფალი კი კაცური კაცებისათვის ვალია.

ვაზის პატარა ქვეყნისთვის დღეს საარაკო ძველია, თუმცა არა კი ქართველებს შეეფერება გრძელია, წინაპრებისა ამაგი საოცარ-საკვირველია, ჟამია ვნატრობ მეკვლესა, ჰა, მეკვლევ რუსთაველია.

ღმერთმა ქნას, წუთისოფელი ვადიდოთ გამარჯვებული, ძე და ასული ერთად ათასად გამარჯვებული, ბალ-ვენახები, ველები ბაღნარად დამშვენებული, თვალწინ სოხუმი, ცხინვალი მზის სხივით გაბრწყინებული.

გაცრუვდეს ხალხში ზე ფრაზა შემზარავ გადასავალი, კარგი კი დღესვე გვეღირსოს ჭირიდან გამოსავალი, ვაშად შევძახოთ თენდება მოვლენა გარდაუვალი, გულისგულიან სოფელში ხარობდეს შთამომავალი, გადავუხადოთ სიცოცხლეს ვალი, თავგადასავალი.

ლექსად თქმულ ნატვრის ახდენას იმედით დაველოდები, არ დავიშუროთ ძალ-ღონე, გადავიყაროთ დარდები, ჩამოვიშოროთ ნუხილის გულზე დაყრილი ლოდები, ახალგაზრდობას ვუბოძოთ გზად გადამღლი ვარდები.

მას ბერმუხად ვადღერძებ, ვინც ქვეყნის ღერძს ისე აწრთობს, სალტეს უხსნის ტანჯულ გულსა და პირისპირ წყლულსა აქრობს, დარდს დაფარულს ღიად მტრობს, გვამხნევეს და სულით გვანართობს, ერისკაცად ვერ ივარგებს, ვინც ჭირის ხსნას ვერა გვარობს.

ვაზის რქები ჩახლართული ჩხებად ავჭერ კაზმულ ხანსა, ქორწილის ჟამს შვილს ვუბოძე, მემკვიდრეს იმედიაანსა, ვემხიარულე მოყვრებსა, ყოველსა ენაწყლიანსა, ღმერთმა შეგვასწროს სამშობლოს აყვავებულს და სვიანსა.

ტკბილ მამულის სულს უსმინე, სუნთქვა მისი თავად ნახე, წინაპრების ნაღვანარი ნაღმა სწორად დაინახე, ნატერფალი ოქროდ ფასობს, შვილიშვილებს შეუნახე, საქართველოს განდიდება ახდენილი დაგვანახე!

ის სადღერძელო რად ვარგა, რომ დარჩეს აუნეველი, ანდა ისეთი ის რთველი, ყურძენი დაუნურველი, თუ კვლავაც ისე ვიქნებით დახმარებების მხვენველი, სანუთისოფლო ვალია ვიყოთ ჭაპნისა მნეველი.

გულგასახარად ვიხაროთ შაირებით და შენებით, ან აღვეწეროს ნატიფად ნაღვანი ტკბილი ენებით, პაპის პაპათა მიზნებით, სიახლეების ჩვენებით, შარა ვუმშვენოთ სამშობლოს დაუმრეტელი მშვენებით.

გამოგონებით ყამირიც გავხადოთ მოსავლიანი, ხვალის თაობა უებრო და არამც თვალცრემლიანი, ყოველი მხარე ქვეყნისა უხვი, სვიანი, მთლიანი, დაკინებული სამშობლო – გმირთ სადარ სახელიანი!

დაკინებული ქვეყანა, რადგან დიდი ნაწილი ოკუპირებულია, ცრემლიანია საქართველო, რადგან 1,5 მილიონი ადამიანი ცხრა მთას იქითაა გადახვენილი, გულდანყვეტილია საქართველო იმიტომაც, რომ დედაქალაქის მერიამ ვერ გაიმეტა 1000მ2 მიწა, აღმაშენებლისთვის რომ აღიმართოს 36-წლიანი გმირული მოღვაწეობის აღსანიშნავად 36 კიბის საფეხურიანი მემორიალი - იმ დიდი კაცის უკვდავსაყოფად, ვინც საქართველო გადაგვარებისგან გადაარჩინა, სევდიანია საქართველო, რადგან აგარარულ ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დიდი ნაწილი უცხოეთიდანაა შემოტანილი...

აღნიშნული უტყუარი ფაქტები საკმარისია იმისათვის, რომ ერსაც და ბერსაც დი-ახაც ყოველდღე შევახსენოთ პრობლემების არსი თუნდაც შაირებით (ვისიც არ უნდა იყოს შაირი), იმისთვის, რომ პრინციპული ცვლილებებით ჩამოვიშოროთ მომძლავრებული ტკივილები და გზა გავიკაფოთ ეროვნული მიზნებისაკენ.

გმირ წინაპართა ბილიკზე ერი რომ მარად ნათობდეს და მომავალი სულ მუდამ მათ ნამოღვაწარს ამკობდეს, მთავრობა გვინდა ელვარე, ერსა სატკივარს უქრობდეს და ქვეყნის მთავარსარდალი სამაგალითოდ სარდლობდეს.

თამაზ კელივიძე მევენახე, რაციონალიზატორი, სახალხო მოქმედი

არჩილ ბიჭაშვილი

ახალი რაფორმაჰი

იმას ვინც ახალ რეფორმას სახავს, ტანზე რუსული ადგას ბეგთარი. ეხლა ქართველებს სად აღარ ნახავ, დარბიან ცოცხის ტარზე შემჯდარი. კრიმინალების ჩვენ ვიცით მადა, ამაოდ ვშრომობთ, ტყვილა ვირჯებით, ხვალ ქართველები იფრენენ რადგან, ძველი ქოშებით და ხალიჩებით. მე არც ძალა მაქვს და არც მაქვს ფული. ბედი მთავაზობს კვლავ ღამის გიშრებს. ჯერ ისევ ბოთლში ვარ დამწყვედული, მჯერა ვილაცა, რომ ამომიშვებს.

ტარიელ გელენის

შენ იცი კარგი ცხოვრების ფასი, ფუფუნებაში შენ არ მოკვდები. ხან რაინდი ხარ, ხან ყომარბაზი, ძმად და მეგობრად გთვლიან ლოთები. შენ მუდამ სხვისი გტკივა ჭრილობა, გულწრფელად ხარობ, გულწრფელად ტირი,

მამა პაპათა მოგდევს ზრდილობა, მუდამ ყოველთვის ხარ პირდაპირი. იცავ, მფარველობს სუსტსა და კეთილს და ყოველთვის გძულს ავი, ბოროტი. არასდროს არ სვამ გრძნობებში წერტილს,

მუდამ აგრძელებ კარგის მოლოდინს. დადიხარ ყველგან მიგაქვს ნუგეში, სად, როდის, ვისთან გრჩება სიფიცხე, შენ არასოდეს არ ხარ უხეში, თუ ვინმემ გნახა აღარ გივინყებს.

ბაზარი

დროში ცვლილება ვერ მოასწარი, ვერ შესძელ სულში ბანგის შეტანა. უცებ ცხოვრება გახდა ბაზარი, ბაზარად გადაქცა მთელი ქვეყანა. ყიდიან რამე თუ იყიდება, თუ კი რამეში რამეს იხდიან.

გაუფასურდა სული, ღირსება, ფასობს ის რაშიც ბევრი ზინდია. ყიდიან გრძნობებს, ყიდიან სინდისს, არ არის რამე წმინდად იგულო. დღეს პატივშია ვინც რამეს ყიდის, ზეიმობს ის ვინც რამეს ყიდულობს. რაც კარგი იყო სულ დაიბურა, გაუფერულდა სიზმრები ძველი.

ფრესკიდან გაჰქრა ყველა ფიგურა, დარჩა მყიდველი და გამყიდველი. მარტივად ხდება რაც იყო რთული, არაფერს ჰქმნის და იღებს რაც უნდა. ხედავ, რომ ღმერთად გადაქცა ფული, უყურებ ღმერთი როგორ გაფულდა. ხედავ ყოველ დღე იზრდება ჭორი, დრო აირია და ვერ დალაგდა, უნდა გვახსოვდეს მუდამ დიდგორი, მაგრამ გვეჭირდება ეხლა მარაბდა.

ხედავ გროვდება ტბები სიცრუის, ხელოვნურ ბზარებს, უფსკრულს. ნაპრალებს. თავში ექცევა ვინაც მეტს სტყუის და რასაც ტყუის სხვას რომ აპრალებს. სულ იყიდება რაც ძვირფასია. რაც უნდა მუდამ გულით ატარო. ყიდიან ვნებებს, განცდებს, ხასიათს, ბაზრად ქცეულა ეხლა სამყარო.

მზიური დათიაშვილი აფციაური

9 აპრილის გამოქაზილი რევაზ მიშველაძის ნოველა „ნარღვნიტ ჩაქცეულ ნაპირზე“

რევაზ მიშველაძის ნოველა „ნარღვნიტ ჩაქცეულ ნაპირზე“, რომელიც „მწერლის გაზეთის“ 5 (295) 15/IX 2022 დაიბეჭდა, ყველა მკითხველს ძაგდავით გაახსენებს სწორედ იმ ჩაქცეულ დღეს, როცა საბჭოეთის აღმოსავლეთ ნიჩბებმა უღმობლად ახვეტეს რუსთაველის გამზირზე, ყველაფრის მიუხედავად მაინც, იმედმოცემული ბავშვების, ახალგაზრდების თუ უფროსი თაობის, ესოდენ ერთ დიდ ტაძრად შეკრული სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მლოცველი ერის სიცოცხლე.

ლელეებად აღინეს თავიორგაჩეხილი და ტანკიდურებდასერილი პატრიოტების დღესაც მლაღადებელი სისხლი, რამაც თავისი თავ-შეუკავებლობა 30 წელზე მეტი ხნის შემდეგაც გამოავლინა და არათუ იმ დღის ტკივილით, არამედ უფრო მეტი - დღევანდელ ტკივილთან გაერთიანებით: განდევნონ ოკუპანტ-დამპყრობელი საქართველოდან! დაღადებენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (მაშინდელი) ფილოლოგიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის (ან უკვე გარდაცვლილის ჯალათები-სგან) მანანა კეკელიძის ხმით:

„მომკლეს 1989 წლის 9 აპრილს განთიადისას. ვითხოვ საქართველოს მწერალთა კავშირს, თუ საშუალება გააჩნია, სამ ცალად გამარავლოს ჩემი ჩვენება. ერთი გაუგზავნოს ამიერკავკასიის ნითელდროშოვანი ჯარების სარდალს, მეორე დემონსტრანტთა დარბევის გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო მესამე თავის არქივში დაიტოვოს. დიდი იმედი არა მაქვს იმისა, რომ პირველ ორ უწყებებში ჩემს ნაწერს გულსყურით მოეკიდებინან. როგორც ამბობენ და როგორც ტელევიზიის გადმოცემებიდან ჩანს, უნდათ იმ საზარელ ღამეს მომხდარი ფაქტები მიაფურჩეონ. თურმე რესპუბლიკის ხელმძღვანელს გაუფრთხილებია ჯარის სარდალი; ურტყით დემონსტრანტებს, მაგრამ მოსაკლავად ნუ გაიმეტებთ. თურმე ჩვენ, უიარაღო, მშვიდობიანი მომწამბლენი დავსვით თავს მშობლიური წითელი არმიის ნაწილებს და მუშტებით სამხედრო ტექნიკას (განსაკუთრებით ტანკებს) დიდი ზიანი მივაყენეთ. ჯარი რომ დავარბიეთ, თურმე, ერთმანეთს დავერიეთ და ჩვენს მიერვე ატეხილ ხოცვა-ჯგლეჯთაში შემოგაკვდნენ უმწურო ადამიანები. თურმე ჩვენ გამოვიყენეთ მომწამბლავი გაზები და ქიმიური იარაღები სახელოვანი ჯარის ნაწილების წინააღმდეგ. ასე სინდისიანად და მართლად სჯის ის სახელმწიფო მანქანა, რომელსაც სურს ერთხელ კიდევ ნაშალოს მშვიდობიან მოქალაქეებზე თავისი სისხლიანი „გამარჯვების“ კვალი. ვთხოვ მწერალთა კავშირს, ეს ჩემი ნაწერი შეინახოს არქივში. ალბათ, ოდესმე დადგება დრო, როცა სიმართლის თქმა შესაძლებელი გახდება. მომავლის მწერალს იქნებ მოხვდეს ხელში ეს ქალაქი და ერთ მაგალითად მაინც გამოადგეს. რაც ვნახე და განვიცადე, იმას ვწერ. შელამაზების თავი სადა მაქვს. მესამე დღეა გონს ვერ მოვსულვარ. ახლაც, კალამი რომ ავიღე ხელში, მთელი სხეული მიკანკალდება. მე, რვაში დილით, დაახლოებით თეთრმეტ საათზე, დავეჯექი საშინილოდ. თავიდან დაჯდომას არ ვაპირებდი, ჩემი გჯუფულები — ნიქორიძე და გალდავა ისხდნენ და მათ სანახავად წავედი. მომეწონა ვითარება, ზიხარ, მხიარულად საუბრობ, ირგვლივ ხალხი ბუზივით ირევა. თანაც გოგონებმა მითხრეს: „მოდი, მანანა, დაჯექი, ცხოვრებაში სამუდამოდ დაგამახსოვრდებაო“. მართლაც, სამუდამოდ დამამახსოვრდა. დავეჯექი და დავინწყე შიშილობა. გოგონებმა თბილი წინდები და ვილაციის დიდი (ცოტა არ იყოს, ოფლის სუნი სასიამოვნო) დაბამებული ქურქი „გამიხურეს“, სამივემ ფეხებზე ცელოფანის საბანი შემოვიხვიეთ და ერთმანეთს მიხუტებულნი ვართ. იცი? რალაც სასიამოვნო შეგრძნება იყო, ფიქრი იმაზე, რომ ყურადღების ცენტრში ხარ, ქვეყნისთვის მცირეოდენ მსხვერპლს იღებ, რალაცას თუ ვილაცას პროტესტს უცხა-

დებ. მიკროფონი განუწყვეტლივ ხმაურობდა, მაგრამ სიტყვები ნახევარი არ გვესმოდა. რას ილაპარაკებდნენ ბოლოს და ბოლოს? ლამაზად, ან შედარებით ნაკლები ორატორული ხელოვნებით ჩვენს დღევანდელ ვითარებას შეეხებოდნენ და ბოლოს დაამთავრებდნენ; „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს“.

პატრიოტი მწერალი რ. მიშველაძე გულამომჯდარი საქართველოს ჭირ-ვარამით, „გმირთა ვარამით“ და აფხაზეთის ომში საკუთარი შვილის არჩილ მიშველაძის შეწირვით გათანაგული, გულ-ცებლმდღუარე და ცრემლმდინარი თანაუგრძნობს სამშობლოსათვის თავდადებულთა ამ დიდ სერობას და საკუთარი შვილის მონატრებასავით განიცდის თითოეულის გარდაცვალებას 9 აპრილის ტრაგიკულ დღეს და ერთხელ კიდევ ნამების ქარცეცხლში აგდებს, სწორედ საკუთარ შვილად მიღებული მანანა კეკელიძის დატოვებული წერილი, რომელიც პასუხს ითხოვს საკუთარი სამშობლოს დაუნდობელი მტრებისგან, რომელთა მიმართაც დაუზოგავი და გამანადგურებელი ზრი გამოთქვა მწერალმა ნოველაში: „ნარღვნიტ ჩაქცეულ ნაპირზე“...

თუმცა ამ დიდი სერობის თანამგრძნობი მწერლის ნოველის გმირი - მანანა კეკელიძე აღნიშნავს, რომ „ყველაფერი უფრო გასართობ, მშვიდობიან ეროვნულ კარნავალს ჰგავდა, ვიდრე პოლიტიკურ აქციას. სანთლები, ცად ადვლენილი ათასი კაცის ერთდროული ლოცვა, ვაშა და ტამბა გრიალი, სამოცდაათწლოვანი შიშისგან განთავისუფლების აღტკინება, მასობრივად წელში გამართვის და თავისუფლად ლაპარაკის ილუზია, მოახლოებული, რალაც უფრო დიდი სიხარულის მოლოდინი — ეს მართლაც აპრილის სახალხო მოძრაობას და არა რალაც გამოგონილი ნაციონალისტური განწყობილება, ან ანტი-უსაბუნოებრივი ლოზუნგები“.

ნოველის ავტორს სჯერა საკუთარი ხალხის ხალასი, გულუბრყვილო, შინაგანი სათნო ყვირილისა, რომელიც მის გულზე მასპინძლობაში გამოიხატება ყოველთვის. ის მტერს არასდროს მტრული თვალთ არ უყურებს. სტუმარი, თუნდა მტერი იყოს, ქრთველი-სათვის სტუმარი „ღვთის კაცია“, რომელსაც მთელი თავისი სითბო და სიყვარული უნდა გაუნაწილოს, რომ შეიიცნოს, ალბათ, მოახლოებული წინააღმდეგობა თუ (წინასწარრ განუხილავი) საპასუხო სითბო (ბოროტისაა და კეთილის შეცნობა)...

ძალიან ცოტა იყო იმ მიღებულ ხალხში ისეთი გაულტურებელი, რომ იმედი ჰქონოდა, თუ ხმადალა ვიყვირებთ, ეს არის, გაღმა გავედითო. ჭკვიანმა კაცმა მშვენიერად იცის, რომ თუნდაც ყველაზე გრძელი მიტინგით და თვითმგვემი შიმშილობით სანუკვარ მიზანს ვერ მიწვდები. მე თუ მკითხავ, შეივდი-ანი ქაქანით ხალხს მიტინგსაც შევაძლებთ. მიტინგი ოთხ საათზე მეტ ხანს არ უნდა გაგრძელდეს. სწრაფად უნდა შევიკრიბოთ, ვთქვათ ჩვენი სათქმელი და სწრაფადვე დავიშალოთ. არ უნდა მივცეთ თოფიან კაცს გონს მოსვლის და „ზომების მიღების“ (როგორც ეძახიან) საშუალება. რაკი ამგვარი ალტაცებულ-საზიმიო განწყობილება სუფევდა, უწმინდესი და უნეტარესი კათოლიკოსის გამოსვლაც არ მივითქნენ გულთან. ღვთის მოციქულმა გაგვაფრთხილა, ტანკები მოდიანო, მაგრამ იმდენად ვენდობოდით ახალ, საგარდაქმნო მოძრაობას, იმდენად გვეწეროდა ვილაც-ვილაცების, რომ ვერ წარმოვიდგინეთ, თუ მშვიდობიან, უიარაღო მოქალაქეებს თავს დავესხმოდნენ ჩვენივე არმია. არმის რას ვერჩი, ვინ იფიქრებდა თუ დამსჯელი ექსპედიციას თითით უჩვენებდნენ ჩვენზე „ჰვა მაგასაო“, სწორედ ისინი, ვისგანაც დაცვის და თანადგომის იმედი გვექონდა“.

„ჩემი გონებიდან არ ამოვა - ამბობს ნოველის გმირი მანანა კეკელიძე, - ის, სიკვდილისწინა, ცეკვა-სიმღერა. თითქოსდა განწირულთა როკვა იყო. ერთნი, ასფალტზე შედარანი, სანთლებით ხელში ჯარისკაცებისკენ შეტრუნებულნიყვნენ, მეორენი გამეტებით ცეკვავდნენ და მღეროდნენ; ვინ იცის, იქნებ სხვათა გასამხნეველად, ან საკუთარი შიშის დასაძლევად. სამინელმა წინათგრძნობამ გული გამიწვრილა. სუნთქვა შევაჩერე და თვლები წამით დავეხუჭე. რომ გავახილე, პირველად ჯარისკაცებს ვესროლე მზერა. ფარები გადაეყარათ და მარტო ოდენ ხელკეტებოდა და სავლელ ნიჩბებმომარჯვებულნი იდგნენ

ჩვენ წინაშე. მოკანკალე სიმღერა ღრიალ-კივილიმა შეცვალა. სიკვდილის ცელი ამოქმედდა. შიშისგან წელი ვერ ავნიე. პირთავევე დავემხე და თავზე ხელები დავიფარე. ფეხებზე და ზურგზე საშინელ ტკივილს ვგრძნობდი. უკან მომწყდარნი მუხლებითა და ხელებით ჩემს ზურგზე გადადიოდნენ. ვილაცამ თმებში ჩამავლო ხელი და ზევით, ერთმანეთში გადახლართულ, დარწმუნებულ ხალხში გადამაგდო. ყველას თავის თავი უჭირდა. რა გრძნობა იყო იცი? რომ ყველანი ლაკონის გველებივით ვართ გადაბმულნი ერთმანეთზე და წარღვნამ თავზე გადაგვიარა.

ხელნიწიანი მკვლევლები ხალხის გრვეებს დაერივნენ და ნიჩბებით ხოცვა დაგვიწყეს. ჯარისკაცის უტიფარ სახეს ვხედავ. დგას და მეჩვენება, რომ ილიმბა კიდეც, შემაგინა და ჯერ ნიხლი ამომარტყა ფერებში, მერე სახეზე სურდა ფეხის დაბიჯება, მაგრამ გადაბრუნება მოვასწარი და პირველი ხუთი დარტყმა მახსოვს თავში, მერე ყურსა და ღანებზე თბილი სითხე (სისხლი!) ჩამომეღვარა და თვლებზე ბლანტი, ბურუსი ჩამომანვა. თითქოსდა, მეძინებოდა და ძილს მიმღიდნენ. თითქოსდა თავვერ მიმაქანებდა მდინარე და ჩემ თვალწინ სწორედ ის ნაპირი ირღვეოდა, სადაც ფეხი უნდა შემეგდა, სადაც ხელგამოწვდილი მელიდებოდნენ. არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე კიბეზე. მახსოვს, თავი წამოვნიე და მკვდრებით სავსე მოედანს მოვავლენ თუ არა მზერა, თითქოს მიდარაჯებდაო, კუს ბაკანივით მწვანე ჟილეტმორგებული ჩექმისანი ჯვალათი მომვარდა და მტკავლის სიგრძე მენზურით ცხვირში ჯოჯოხეთის შხამი შემეფრქვია. პირი გამიშრა, სუნთქვა შემიგუბდა. ვგრძნობდი, როგორ მეტერებოდა ფილტვები, ყელში ბურთივით მანვებოდა რალაც. სიცოცხლედ მიღირდა ერთი წვეთი წყალი, ერთი ამოსუნთქვა. მიშველეთ-მთქი, ეს ალბათ უკანასკნელი ყვირელი იყო!“

საოცარ რყევასა და აღშფოთებას განგაცდევინებს მანანა კეკელიძის სიკვდილი - რეალური, ცოცხალი თუ სხეულის გონებაში გარდასახული მტარვალის ნაღველი ბოროტული ქმედებები.

ჩვენ ვერ ვგრძნობთ იმას, რაც მომაკვდავის ან გარდაცვლილის სულში კვლავ განაგრძობს აღქმას, გააზრებას, ხილვას, სულის შეჭიდებას სინამდვილესთან, რადგან ადამიანი რომ კვდება, როგორც ბიბლია აღნიშნავს იგი გარდაიცვლება და ამ გარდაცვალებასაც თავისი ზეციური კანონები გააჩნია... (მიტომ არის ალბათ, ხილვები).

რუსთაველის პროსპექტზე რომ ჩამატარეს, კინდამ თვლებში წამოვჯექი ყვავილების ტბის სანახავად. ზღაპრული იერი ჰქონდა ირგვლივ ყველაფერს. ბოღმისგან სულმძერულ ხალხს ჩვენი სისხლი ყვავილებით დაფარა, რათა ვერასოდეს ვერავის მოერეცხა ცხრა აპრილის კვლი. დახრილი დროშებით იდგნენ შავი ნაჭრით თავნაკრული ჩემი ძმები და ქაშუების ზარი მათი ვერდარქოების სიმღერას კვენსოდა. ახლაც ჩემს საფლავზე დადებული თითო მიხაკი, სითბოდ მეწვეთება გულზე. ალალი იყოს შენთვის, ჩემო ქვეყანავ, თავისუფლებისთვის დაღვრილი ჩემი სისხლის ყოველი წვეთი.

არ ვიცი რა ვუნდო ნოველის ნაკითხვის შემდეგ ამოხეთქილ გიმვას, რომელიც გულმა და სუნთქვამ ერთად გამოხატეს...

ამაღლევებელი, გულში ჩამწვდომი, სისხლმდინარე ეს პნკარები სიცოცხლის სიდიადის საგალობელია. ეროვნული ტკივილის მსხვერპლმწინარე თამაღლებული ღვთის საუკუნო მარადიული მონოდებამდე, რომელმაც დიდი ხანია ტიტანური ძალა ლეგენდარულ „ამირანში“ ჩადო და კაცკაციონზე მისთვის დაატყვევა, არ უნდოდა კაცთა შორის სამაგიეროს გადახდა და ხოცვაჟლეტით. მაგრამ თუ აიშვა... და ეს უცილობელი „ნებაუფლისა“ იქნება, ალბათ, სამყარო შეიცვლება დიდი ხნის ნაოცნებარ თავისუფლებად, სადაც „იანი“ აღარ იქნებიან „დედის ცრემლებზე აოსული ყვავილინი“ და მზის სიცხომევე ოქროს ვარაყად მოეფინება დედამიანას, მზესუმზირას გოლიათურ ყვავილებით, რომ კრთომა გაუქროს უდედოდ დარჩენილ „შელის ნუკრს“ და კაცობრიული შიში დაავინყოს სამყაროს...

რევაზ მიშველაძის ეს ნოველა სინამდვილის მწერლური პასუხისმგებლობის მოვალეობა შეიღებოს ტანჯვის წინაშე, რეალური აღქმა და ზეციური სინამდვილესთან ბუნებრივი ფილოსოფიური შერწყმა, საკუთარ ტკივილად გაზი-

არება-გამოხატვა, ეროვნული პატრიოტიზმის ზებუნებრივი ძალით განმსჭვალვა, განცდა სისასტიკისა, თუ რა შეუძლია ბოროტების უწმინდურობას, სამყაროს დაარსებებიდან დღემდე, განუსაზღვრელი სიძულვილის შექმნის ფაში საკუთარი მოძმისადმი, რომელიც ასე გულუბრყვილოდ აღზრდილს შეეხო მთელი გაბნძმურებული სისასტიკით და რომელსაც მწერალი მისი დეტალური აღწერით გვთავაზობს. სხვა არაფერია, თუ არა კეთილის დათრგუნვისადმი მიმართული კაცობრიული მტურში, რომელსაც ეგთისტური არსებობისათვის სამყარო განსაცდელს უმზადებს...

ყანრული სტილით რ. მიშველაძის ნოველა „ნარღვნიტ ჩაქცეულ ნაპირზე“ მაგონებს ფრანგი მწერლის ვიქტორ ჰიუგოს რომანს „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ გმირების ეროვნულ-სოციალურ და ეკონომიკურ-რელიგიურ-კულტურული გამოხატულობის რევოლუციურ სულისკვეთებას, რომლებიც სიღუბნისგან წელში გაწყვეტილი ტაძრის მოედანზე იკრიბებიან, აწყობენ სტიქიურ გამოსვლას, ერთობიან უღამაზესი და უჭკვიანესი უცხო მინის მკვიდრის „ესმერალდას“ (ცეკვა-სიმღერით, რომ უსახლკაროთ სამკვიდრების - ტაძრის მოედანსა და პარიზის ქუჩებს ჩაეხუტონ მომავალი დღის იმედიანი გათენებით, მაგრამ ეს უკანასკნელი იმედიც ხელიდან ეცლებათ, რადგან ესმერალდა უღირსი სიყვარულის მსხვერპლი ხდება ამ უმეცარ და გაურანდავ კაცობრიულ სამყაროში.

სახელმწიფო ან ნოველის ნარგტიული კითხვა ერთ დიდ მდინარეს ჰგავს თავისი შესართავებით, რომელზეც ყოველი დეტალური მომენტის გათვალისწინებით უამრავი პარლელის გავლება შეიძლება ერის ჩამოყალიბებიდან დაწყებული დღემდე და საუკუნობრივი განვითარების წინსვლისა თუ უკუსვლის ისტორიული ნაღმართ-უკუღმართობის თუ ფიზიკური და სულიერი არსებობის, ღვთიური ნიაღვრის გადმოცემით და ეს ნიჭებს მას იმ დიდ ლიტერატურულ ღირსებას, რაც მწერლის შემოქმედების დიდოსტატობიდანაა გამომდინარე.

ნოველა აერთიანებს ყველა გმირს სიკვდილის გამოუხატავ გრძნობას, პირისპირ დადგეს მის წინაშე და აღწეროს თუ რა არის სიკვდილი, მომაკვდინებლის მიერ რეალურად განხორციელებულ ამქვეყნიურ და რეალურ სამყაროში, რომელიც „ჩაქცეულ ნაპირად“ ჩათვალა მწერალმა.

ნოველის გმირი მანანა კეკელიძე არათუ მხოლოდ მოქმედი რეალური გმირია ნანარმოებისა, არამედ იგი სახვა დაპირისპირებული სამყაროს ცივილიზაციის მსხვერვისა მომავლის ცივილიზაციურ სანყისთან. წარმოშვას წარმოსახვითი კულტურის - მშვიდობიანი კულტურის ნ. ბარათაშვილის „მერანვიტ“ თავისუფალი, განვითარებული სულის შედევრი - კულტურა, რომელიც არათუ „სისხლის ყოველი წვეთი“ მარადიული ფიზიკური სხეულის ყვავილების სურნელ-მემკვიდრე განსახიერება იქნება ვარსკვლავური გამობრწყინებით მზის მთლიან დაუსრულებელი ნათების სივრცეში.

9 აპრილის წმინდა ადგილი რუსთაველზე, სადაც აღმართულია ნიში სისხლდაცლილ საქართველოს გმირებისა, არის ფუნდამენტი ეროვნული აღორძინებისა, სადაც ღვთისმშობელმა ამ წმინდა ემბაზში განახანა - მსხვერპლნი შეწირულნი და სადაც უფლის გზისკენ მიმართა, რომ საქართველოსთვის გამარჯვება ეუნყებიანთ!..

გამოცხადება

იმ ღამეს ფარდა ჩამოიხა ციდან!.. იმ ღამეს ქარი გლეჯდა ხეებს... ღვთისმშობელი ქაშუეთთან იჯდა და ცაში აგზავნიდა მხველებს!..

იმ ღამეს წვიმა ნელა რიდა, იესოს ჩამოეშვა კიბე, ემბაზში ნათლობა არ ჭირდა, მინას დაბჯენოდა კიდე...

ნათელ, საუცხოო ცაში, ერთმანეთს მიჰყვებოდნენ „ჩვილნი“ ეს „ცხრა აპრილი“ გახლდათ დემოთთან მიფრინავდნენ შვილნი...

..... იმ ღამეს ფარდა ჩამოიხა ციდან და აიზმა აღულდა ცრემლის... მთავრობის სასახლის წინ ჯვარცმა აღიმართა რუსთაველს სისხლი ბანდა ცხელი!..

ეს ჭეშმარიტი ზეიმი იყო

„სანუთრო სიზმარივით იღვავა“ - ასე ჰქვია ლიტერატურულ სპექტაკლს, რომლის პრემიერაც 7 ნოემბერს, 19 საათზე, რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გაიმართა.

სპექტაკლს საფუძვლად დაედო მაცვალა გონაშვილის მიერ თარგმნილი ლეილა ალიევას უმშვენიერესი, სიკეთითა და ემოციებით, ტკივილებითა და მადლით სავსე პოეტური ნაწარმოებები.

ლონისძიებას დაესწრნენ აზერბაიჯანისა და თურქეთის საელჩოები, აზერბაიჯანიდან ჩამოსული საპატიო სტუმრები, საზოგადოების წარმომადგენლები.

სპექტაკლის დაწყებამდე სიტყვით გამოვიდნენ: გოჩა კაპანაძე, აზერბაიჯანის და თურქეთის ელჩები. მაცვალა გონაშვილმა რეჟისორ გოჩა კაპანაძეს მწერალთა კავშირის სახელით გადასცა ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემია და მედალი.

რევაზ მიშველაძე:

არ მეგონა, თუ კიდევ შეეძლო პოეზიას ათასი მიზეზის გამო გაცივებულ-გალივგებული ჩვენი თანამედროვის სულის სიმების შერხევა და ათრთოლება.

7 ნოემბერს მაცურებლით სავსე რუსთაველის თეატრი ფეხზე მდ-

ლეილა ალიევას სიზმლოური იერსახე

ტილოს ცენტრალურ ადგილად თვითონ დგას. ფონი კი ყოველ ლექსში იცვლება, ხან მზის ათინათი დასთამაშებს, ხან მთვარის მაცდური შუქი, ხან ფარშევანგის ულამაზესი ბუმბულითა და კუდი-თაა მოხატული, ხან ფარვანას ცეცხლისგან შეტრუსული ფრთებით, პოეტი ქალბატონი თავადაა ლექსების ავტორიც და გამირიც, ნახატის ფონზე მოციაგე მზის სხივიც და სიყვარულისათვის ცეცხლის მოჯადოებულ წრეში მოფარფატე ფარვანაც.

მაცვალა გონაშვილი

ბედნიეროდ შენივთდა მშვენიერ ნიგნში („სანუთრო სიზმარივით იღვავა“). ამიტომაც გახდა ჭეშმარიტ პოეზიაში ჩაბუდებული სიყვარულის ნოსტალგია გადამდები. ამიტომ ბრწყინავდა ქართველი და აზერბაიჯანელი მაცურებლის თვალზე დიადემის მარგალიტით ალალი ცრემლი.

ლექსები ლექსებად, მაგრამ რაოდენი დრამატული გასიგრძეგანება დასჭირვებია რეჟისორ გოჩა კაპანაძეს, რომ მთელი ეს მასალა სპექტაკლად შეეკრა. ბარაქალა მას.

ჩემი გონების თვალსაწიერიდან დიდხანს არ ამოვა სცენაზე აღმოსავლურად ფარჩა-აბრეშუმში შემოსილი

მადლობა დამდგმელ კოლექტივს, რეჟისორს, მსახიობებს და, რა თქმა უნდა, მაცვალა გონაშვილს.

ნაირა მარშანია:

ჩვენს აჩქარებულ, სიბრძნედაკარგულ და პოლიტიკით გადაღლილ ეპოქაში სულს წყაროს წყალივით სწყურია პოეტური, ფილოსოფიური, სინათლითა და ლამაზი სევდით სავსე სანახაობები, აი, ისეთი რუსთაველის თეატრში რომ ვიხილეთ, აზერბაიჯანელი პოეტის ლეილა ალიევას ლექსების მიხედვით შექმნილი სპექტაკლი „სანუთრო სიზმარივით იღვავა“.

გოჩა კაპანაძე ჩემი უსაყვარლესი რეჟისორია და მუდამ დიდი ინტერესით ველი მის ყოველ ახალ სპექტაკლს. 7 ნოემბერი სწორედ მისი, ლექსების ავტორის ლეილა ალიევასა და მთარგმნელი მაცვალა გონაშვილის ნიჭიერების კიდევ ერთი დასტური იყო. დაუფინყარი იყო მსახიობთა ქორაკანდელი. ცხინვალის ივანე მაჩაბლის თეატრის დასთან ერთად სპექტაკლს ამშვენებდნენ რუსთაველის თეატრის ვარსკვლავები ნანა ფაჩუაშვილი, მარინე კახიანი, დავით უფლისაშვილი. დამოუკიდებელი ხელოვანი მარინე სალარაძე, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ქეთი ჩხეიძე და კინომსახიობთა თეატრის მსახიობი ანა მატუაშვილი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო მაცვალა გონაშვილის დიდოსტატურად უბადლოთ თარგმნილი ტექსტი. სცენიდან იღვრებოდა თავანკარა ქართულით, ემოციებით სავსე, მაღალპროფესიონალურ დონეზე თარგმნილი ლექსები, რომლებიც დიდი ტრადიციების მქონე ქართული მთარგმნელობითი კულტურის განვითარების ჭეშმარიტი ნიმუში და დასტური იყო.

ვულოცავ ყველას სპექტაკლის შემქმნელთა და მაცურებელთა ამ მშვენიერი სანახაობის დაბადებას.

ვულოცავ საქართველოსა და აზერბაიჯანს - ორი უნიჭიერესი პოეტი ქალბატონის ლეილა ალიევასა და მაცვალა გონაშვილის პოეტური დიალოგს. ეს მართლაც მსოფლიო პრემიერა იყო.

ნიკოლაუს პანტელაკი:

მე, როგორც ქართველთა სიძე, არაერთხელ ვყოფილვარ საქართველოში, მოვხიბლულვარ მისი უმშვენიერესი ბუნებით, იტორიული ძეგლებით, დიდი კულტურითა და ტრადიციებით.

ბედნიერი ვარ, რომ დავესწარი რუსთაველის თეატრში გამართულ სპექტაკლს „სანუთრო სიზმარივით იღვავა“. მქონდა განცდა, რომ უმშვენიერეს ბერძნულ ტრაგედიას ვუყურებდი, ნიღბები, ქორო, ემოცია ენით აღუწერელი სცენოგრაფია, გემოვნებიანი მუსიკა, რეჟისორისა და მსახიობების დიდოსტატობა თვალს ახარებდა. მე ნიჭიერების დღესასწაულზე ვიყავი. ნეტავი კარგად იცოდნენ ქართული - მეუბნებოდა ჩემი მეუღლე მწერალი შორენა შენგელია, ნეტა გესმოდეს რა ბრწყინვალედ არის თარგმნილი მაცვალა გონაშვილის მიერ ლეილა ალიევას ლექსები, მაშინ ბოლომდე მიხვდებოდი რა არის ნიჭიერების ზეიმი.

მადლობა საქართველოს და ქართველ ხალხს, რომლებსაც შეუძლიათ ასეთი დღესასწაულები მოგვიძღვანან.

გუბაზ მეგრელიძე:

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გამართული პრემიერა ლეილა ალიევას ლექსებზე შექმნილ კომპოზიციაზე საინტერესოდ წარმოადგინა რეჟისორმა გოჩა კაპანაძემ. ცნობილმა მსახიობებმა შეძლეს გადმოეცათ პოეტური სამყაროს ემოციური განწყობა. ლექსის რიტმი და შინაარსობრივი განვითარება.

ტექსტის სრულფასოვან აღქმამი მაცურებელს ეხმარებოდა პოეტ მაცვა-



ლა გონაშვილის მშვენიერი თარგმანი, რომელიც ქართული რიტმით უღერდა და არ აღიქმებოდა ნათარგმნად. პოეტური სამყაროს შექმნაში მნიშვნელოვანი იყო მხატვარ ლომოვლ მურუსიძის სცენოგრაფია თავისი უმშვენიერესი ფერებით, აღმოსავლური განწყობითა და პოეტური სამყაროს გააზრებით. სპექტაკლი იქცა ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების ნათელ გამოხატულებად.



გარი დიდხანს უკრავდა ტაშს ლეილა ალიევას ლექსების მოტივებზე შექმნილ სპექტაკლს.

აქ ყველაფერი არაჩვეულებრივად ლამაზი იყო.

არც ისე დიდხანია აზერბაიჯანელი პოეტი ქალი ქართველ მკითხველს წარუდგა და ყურადღება მიიპყრო ოდენ საოცარი გულწრფელობით კი არა, იმ სევდიანი მსოფლიოობით, რაიც ძილს უტეხავს დღეისდღის დაბნეულ მოქალაქეს და მისდაუნებურად, ცეცხლის წვიმების ამ არამისანდო დროში ღირიკისკენ შემოაბრუნებს.

ერთი მთავარი მიზეზი წარმოდგენის გამარჯვებისა, გახლავთ რუსთაველის პრემიის ლაურეატის, ქალბატონი მაცვალა გონაშვილის ბრწყინვალე თარგმანი. ჩანს, მაცვალას და ალიევას სულისკვეთებაც და მსოფლხედვაც სა-

ულამაზესი ქართველი ქალების რონინი და მათა ბაგეთაგან უზუსტესი ინტონაციით, უზადო ოსტატობით ნაკითხული ლექს-მონოლოგები.

სოსო სიგუა:

სპექტაკლმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ერთმანეთს ჩინებულად ერწყმის მუსიკა, პანტომიმა და ლეილა ალიევას ტექსტი, რომლის მაცვალა გონაშვილისეული თარგმანი პროფესიულად ააჟღერეს ჩვენმა მსახიობებმა.

განსაკუთრებით ეფექტურია სპექტაკლის ფინალი. ასევე კარგადაა გააზრებული მთელი სტრუქტურა.

იმდენად მომეწონა, რომ კიდევ სიამოვნებით ვნახავდი. ეს სპექტაკლი უნდა ნახონ თეატრის, მუსიკის და პოეზიის მოყვარულებმა.

ეთერ ზაქარიძე

...არ თქვა, რომ დავკარგე მუზა,
 შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ,
 მთვარეც, ვარსკვლავებიც და კიდეც
 ოცნება ჩემი, სულ სხვა...
 ვერ დავივინყებ შენს გაშლილ ფრთებს,
 მრავალჯერ დაჭრილს, მძიმედ მიგქონდა,
 ხელი მოგაშველე, შევეხე ჭრილობას,
 დაგვიამე, არ გეგონა თუ მოგარჩენდა...
 შენს ფრთებს შევეხე, სიმაღლეში
 ნაფრენს,
 ასაკი ეტყობოდა, დაღლილი ჩანდა დღეს,
 ფრთებზე ძირ-ძველი პერო მოიძრე
 გადმომეცი და მითხარი:
 „ამით შენ გადაიფრენ მთებს“
 ფრენა არ ვიცოდი, ფეხსაც ვიკრავდი,
 შემდეგ შენ მაშველებდი ხელს,
 მეგონა აფერინდი, ჰაერში ავედი,
 თოფი მესროლე, ისევ დავხეტოქე ქვებს...
 ვიფიქრე, ყველაფერი დამთავრდა,
 მე ველარ აფერინდები მეტს,
 შენ ისევ მომძებნე, მინდორში დაჭრილი
 ვებრძოდი მტერს... შორიდან გვიყურე,
 გაინტერესებდა, ვინ გაიმარჯვებდა დღეს,
 მოგწონდი, ძალას ვიკრეფდი დაჭრილიც,
 მინაზე გულაღმა ვაგდებდი მტერს...
 გამოუცდელი ვიყავი, მტერი კი
 გამოცდილი,
 ნაომარი, ბრიყვი, უკან არ იხევდა,
 ფიქრობდა, არნივს მოერეოდა იხვი...
 ძალა მოვიკრიბე, ისევ შევეჭიჭიდე,
 ამინდი გვინყობდა ხელს, თვალები
 დავკორტნე,
 ვერაფერს ხედავდა, ორივე დავეჯახეთ
 კლდეს...
 მტერმა თქვა: მე მაინც ვკვდები,
 „მუზას“ მოგიკლავ, ახლავე გავუხვრეტ
 მკერდს,
 მშვილდი მოჭიმა, ისარი ბრმად გაისროლა,
 როგორ ვერ აიცდინე შენ...
 დაგინახე როგორ დაეცი,
 სისხლიდან ვიცლებოდი მეც,
 ყვავები მოფრინდნენ, მტერი გაიტანეს,
 თავი შეაფარეს ტყეს... ჩემთან მოფოფხდი,
 პერო მოიძრე ფრთიდან,
 ჭრილობა შემეხვიე ფრთხილად,
 აბა, ნამოდექი, მტერს არ შეუშინდე,
 მტერია და გვეყოლება მუდამ...
 ერთი გახსოვდეს, მე შენ მიყვარხარ,
 მე შენ მაცოცხლებ, არასოდეს
 ჩამოვარდე მთიდან
 და თუ მოვკვდები, არ დამივინყო,
 საფლავთან მოდი ხშირად...
 ქარი ამოვარდა ზღვიდან,
 ფოთლები მოჰყარა ტყიდან,
 ვარდები ცვიოდა ციდან,
 სიცოცხლეს დავუბრუნდი მშვიდად...
 სიცოცხლე ლამაზია როგორც ბუნება,
 ტყე, მთები, მთიდან მოჩუხჩუხე ნყარო
 მდინარე დადაიქცევა, ზღვაში ჩაეღინება,
 ო, ეს ლამაზი გვირილების მდელო
 და შენ, გამარჯვებულ ნაზარეველო

თამარ იასეშვილი

გაზაფხული

მე ყველა მიყვარს, რაც შენში არის,
 დილა, საღამო, ეს გაზაფხული,
 დილა მზიანი, ხალისიანი,
 საღამო მშვიდი, დამაფიქრებელი,
 ო, როგორ მიყვარს მე გაზაფხული,
 ჩიტებით სავსე ეს ჩვენი ბაღი,
 მინა საკენკით მიმოფანტული,
 დამჯდარ მტრედების თავის ქანქარი,
 ყაყაჩოებით გადაპენტილი,
 დიდი მინდორი, გზისაპირებიც,
 იები ნაზად განაბულები,
 ცისა ფერებით დამშვენებული,
 იშლება ვარდიც თავმონონებით,
 ტოლს არვის უდებს ყვავილნარებში,
 მინა ყვავილით სურნელოვანი,
 ღვინის გარეშეც დამათრობელი,
 ო, როგორ მიყვარს მე გაზაფხული,
 კეთილსაწყისად დაწესებული,
 და არ არსებობს არც არაფერი,
 რაც არ მახარებს ამ ბუნებაში!

პაატა მაჭავარიანი

განხეთქილების ვაჟი აქ
მის კახინატში

ცისკრის ვარსკვლავზე ნაკვეს პოემას,
 მოღმა მომღიმა მაიოიღმა.
 ევას ვაშლს მანვდის, თავად პომონა,
 მომიოილა მაი ოინმა.
 ჩუმად ჩამესმის „მიირთვი ხილი...“
 თვალნი გიბრწყინავს, გული გაგშლია,
 ყელლილიანო! ჩახსნილი ღილი,
 ნამომაროშებს „გმადლობთ, არ მშა“.
 გულზედ მომხედება შეთავაზება,
 როგორც ისარი, ლალი ეროსის,
 იჩქით იცვალეს ფერი ვაშლებმა,
 ხელში მიჭირავს, როგორც ოქროსი.
 ხილვის სიცხადე, მტაცებს რაოდენ,
 ღილმაც უფროდ ამაფრო კიდეც.
 ოკ, ეს ვაშლია, რაზეც დაობდნენ
 ჰერა, ათენა და აფროდიტე.
 ვაშლი ალშია, აშლის ნიშანი,
 გული გატკინეთ? - სულს ვლაფავ ვიდრე,
 მაშინ ნაუხდათ სამთა ნიშატი,
 ჰერა, ათენა და აფროდიტეს.
 ველარ იცნობა მკაცრი ირისე,
 ფიქრით შემოგწვდეს და აფროდიტეს,
 გაუქარვდებათ დავის ხალისი,
 ჰერა, ათენა და აფროდიტეს.
 თმობს აფროდიტე, სარტყელს ჯადოსნურს,
 არ ასვენებდე მოკვდავს და უკვდავს.
 გულში გივლიდი, გულში ამოსულს,
 გული გატკინეთ?! - გულს ცრემლი თუთქავს.
 უნდა დაირღვეს, მსჯავრი პარისის,
 ყველა ქალმერთის ნყენის ნინაშე,
 რადგან ამ ვაშლის ღირსიც არის ის,
 ვინც ეცილება ღმერთებს ციალში.
 ვიდრე ჩემს გამო გული გტკიოდეს,
 ჰადესს ვივანშმო მიჯობს ასნილად,
 გულს ამოვიჭრი, ვაშლი ჰქვიოდეს,
 შენ ერთს გაგიყოფ სამ ტოლ ნაწილად.
 რომ მეგულვოდე კვლავ ძველ ადგილზე,
 შემოგივლიდი, როგორც პარისი,
 მაგრამ ვერაფრით გავითავისე,
 ქარი ტირის თუ შენი ხმა ისმის?

შორენა ტაბატაძე

უფალო, მინატრაბი!

რამდენჯერ უნდა მომკლა, უფალო,
 რომ დავაფასო სიცოცხლე ჩემი,
 რამდენი შხამი უნდა მივილო,
 რომ დავამარცხო ჩემს თავში გველი.
 რამდენ ჭრილობას უნდა ვუარო,
 რამდენჯერ უნდა გაგიშვა ხელი,
 რომ დავინახო ჭეშმარიტება,
 სწორად განესაზღვრო მოძმე და
 მტერი.
 რამდენი მხარი უნდა გავთელო,
 რომ სიამაყე დავძლიო ჩემი,
 რამდენი ღამე უნდა გავტეხო,
 რომ დავივინყო განცდები ძველი.
 რამდენჯერ უნდა მოვინანიო,
 შენდობის ღირსი გამხადო მინდა,
 აღარ მაქვს ძალა გულით ვატარო,
 სულ ყველაფერი დავკარგე წმინდა.
 რამდენ დაცემას უნდა აღვუდგე,
 რამდენჯერ უნდა გამყიდონ კიდეც,
 რამდენ ნილაბში უნდა ვარჩიო,
 საკუთარ სახეს ველარსად ვირგებ.
 სად დაგენიო, ან სად ჩამოგრჩი?
 მკლავს უშენობა, ძალიან მტკივა,
 მინას ცას შორის დავხეტილობ,
 მეშინია და ძალიან მცოცა.
 უსუსურობა გამიჯდა სისხლში,
 თუ რამე მიყვარს ყველაფერს ვკარგავ,
 მეც მოკვდავი ვარ, ადამიანი,
 შენს ხატად ქმნილი, თუმც ღირსი
 არ ვარ.
 გადამარჩინე უკუნეთს, მჯერა,
 რომ სადღაც არის გზის ბოლოს სხივი.
 ძალიან მინდა ისევ გიპოვო
 და საამაყო მიწოდო შვილი.
 ბრონეული
 ბრონეული ათასმარცვლა
 რატომ არის ეული?
 მზესუმზირა მზეს უმზერს და
 მაინც თავჩაქნული?!
 სული მარტოდ დარჩენილი
 გამხდარა მთვარეული,
 არ ახსოვს მას, სად მოიხსნა
 მძიმე ტვირთი - სხეული.
 რითმი მომდის უცნაური,
 ბგერები არეული,
 მარცვალ-მარცვალ ვკრიბავ სიტყვებს
 ფურცლებზე დაბნეული,
 კალამს წვეთად ეკიდება
 მუზა ჩემი გრძნეული,
 ფრთხილად ვხსნი და
 მეც ვერ ვიგებ,
 გულზე მაქვს დახვეული.
 ბრონეული ათასმარცვლა
 რატომ არის ეული?!
 მზესუმზირა მზეს უმზერს და
 მაინც თავჩაქნული?!

ვარლოზის თხე

მაისის თვევ, სამუდამოდ შეგიძულე,
 შენ დაკრიფე ჩემს ეზოში ყველა ვარდი
 მიითვისე მზის სხივები, მისი სითბო,
 მე კი ისევ გაყინული ზამთარს დავრჩი.
 მაისის თვევ! შენ მოკალი ჩემი
 სატრფო,
 მოიპარე ჩემი სულის ნეტარება,
 გაიშალე ოქროსფერი დალალები,
 იამაყე, აწი რალა გენაღვლება.
 მაისის თვევ! იქნებ ნანობ, იქნებ
 შეცდი,
 ასე რატომ გადამრიე გიჟი მარტი,
 იქნებ მითხრა, აპრილია დამნაშავე,
 მერე კი მას უფრო ძლიერ შევიკლავდი.
 ხან ზაფხულის მდუმარებას
 დავუშვებდი,
 ხან ფეხშიშველს ვატარებდი ზამთრის
 სუსხში.
 მაისის თვევ! რომელია დამნაშავე,
 ვის გამოდაც ეკალი მაქვს ახლა გულში.
 მდუმარება... აქ სიმართლეს ვერ იპოვი,
 ვერ მოისმენ ვერავისგან აღსარებას,
 ასეთია ბედისწერის განაჩენი,
 შენ მაისი, მე კი გიჟი მარტი მერქვას.

ცის ჰამაკი

ფიქრის ჰამაკს ვიშლი ცაში,
 ვარსკვლავებით ვაბნეე ზეცას,
 ჩაწვები და დავიფარებ
 ოცნებების ცისარტყელას...
 გამაქანებს სიო, აშლილ
 ღრუბლებს ხატვას დაავალებს,
 დღეს მე მშვიდი წვიმის მსგავსად
 არაფერი არ მანალვლებს...
 მთვარე სახემომღიმარი მიყურებს და
 ამბობს ჩუმად, თავქარიანს
 დამიხედეთ,
 ასე უხმოს, ასე მდუმარს...
 არ ადარდებს თურმე სატრფო,
 არც სიზმრები აღარ ტანჯავს.
 არც მე არ მთხოვს, როგორც უწინ,
 გიჟებისთვის თავშესაფარს...
 სიმშვიდეს და სულის საგზალს
 მუზად იწინს გაშლილ თმაში,
 ვარსკვლავებთან მოთამაშეს
 ნამონოლილს ცის ჰამაკში.
 გააქანებს სიო, აშლილ
 ღრუბლებს ხატვას დაავალებს,
 დღეს მშვიდია წვიმის მსგავსად
 არაფერი არ ადარდებს...

ლაშა გაგილაძე

ბანთიადი

დილას განთიადზე მზე რომ იასამნებს ქალაქს უმოძრაო ფიფქად შემოახვევს, დილას განთიადზე როცა ფიქრი შენი, თვალის გახელამდე სულის ტკივილია.

კიდევ ერთი ღამე დილად წოდებული, გზა ხომ ერთნაირი უკვე ჩვეულია, დადის მარტოობა სულის მონასტერში თითქოს წლების მიღმა არვინ დამრჩენია.

კვალავაც იმავე გზას ლანდად ავეკარი, ფეხის ნაკვალევი სევდას წაუშლია, დილის განთიადი ღამედ წოდებული, ვგრძნობ, რომ ჩემს წინ მდგარი თეთრი არდლია.

უკვე მერამდენე ნუთში გაზაფხული სიოდ მერამდენედ გვერდზე ჩაუვლია, დილის განთიადი ღამედ აღარ იძვრის, დილის განთიადსაც სული მისცემია.

ტანი უსასრულო, მკერდი გაგიჟების, ტუჩებს უმანკობის ფერი დამჩნევია, უნინ რომ გითხარი, უნინ გაგიჟებით, თქვენს წინ, ქალბატონო, ქედი მომიხრია.

მახსოვს გულისცემა, როცა ნუთის შემდეგ, შენთან ახლოს მდგარი სუნთქვა შევაჩერე, თვალებს რომ შევხედე, ღიმილს მოერიე, მორცხვად დაკრეფილი ვარდი გამომართვი.

საყდარს ისეთივე თეთრი ანგელოზი, როგორც ჩემს თვალეში ხატად შეგინახე, ვფიცავ, არ უნახავს არცერთ უკვდავებს, ვფიცავ, არ უნახავს არცერთ საუკუნეს.

ბედის ბილიკები, ანწყოს მომავალი, სულის სიმახინჯე, გულის აკორდები, ლანდად დაგინახე ისევ ტკივილებად დამრჩა უნუგემოდ დილის განთიადი.

ანწყომ შენი თავი ყოფის შესალახად, სევდის უნუგემო ფიფქად მოვლენილი, ლანდად წლების შემდეგ იმ გზას ავეკარი, უნინ ქედმოხრით რომ თავი დაგისხარი.

ჩემი სილუეტი შორს და მაინც ახლოს გიცდის უსაშველოდ სისხლის დაკრეფვამდე, კიდევ ერთი დილა, კიდევ ერთი ღამე, თვალის გახელამდე, სულის ტკივილამდე.

იცი რა?

იცი, რა? არაფერი და ამ არაფრით დაიწყო ყველაფერი, იცი რა? ყველაფერი თითქოს ხმაურობენ ჩემში ეს ფრაზები.

იცი? მახსენდება შენი ის სიტყვები, ოდნავ გაღიმილებულს ყურში რომ მეტყობდი, მერე გაქრებოდი, როგორც სიზმრის ბოლო, იცი რა? მენატრები.

მახსოვს, მოვიდოდი შენი აივნის წინ, ყვავილს მოგიტანდი, ვარდებს სულ სხვანაირს, ვიცი, რომ გიყვარდა, ვიცი, რომ გიბღბავდა.

იცი, რა? მაგიჟებდი.

გახსოვს? რომ გხვდებოდი, თვალს რომ მარიდებდი, გახსოვს? გიყურებდი, შენ კი არც იმჩნევდი, მე კი ისიც მახსოვს, ცრემლებს რომ გინმენდდი, იცი რა? ახლა გეტყვი...

სანამ ამას გეტყვი, მინდა რაღაც გთხოვო, მინდა სათხოვარი აქვე შემისრულო, მოდი, ჩამეხუტე იქნებ ბოლო არის, იცი რა? შემეყვარდი.

კითხვა

მოდი, დავარქმევ ჩემს გრძნობას უკვდავს, მოდი ამ ერთხელ გავშალოთ ფრთები, მოდი, წავიდეთ იქ, სადა ერთხელ ამ უკვდავებას უწოდეს ღმერთი.

ვიცი, ვერ გავცემ ბევრ კითხვას პასუხს, ვიცი, სათქმელიც დამრჩება ბევრი, თუმც კი მოვისმენ იმ კითხვის პასუხს, რის გულისთვისაც შევისხი ფრთები.

იქ უნდა იყო ჩემს გვერდით როცა, მუხლმოდრეკილი ვიდგები მის წინ, იქ უნდა იყო ჩემს გვერდით როცა, სისხლი ძარღვებში დაინყებს სირბილს.

ჩემს წინ დგახარო, მომესმა ალბათ, მისი ჩურჩული ვიგრძენი ყურში, მისი სინაზე და საოცრება იმ წამს თვალეზე მომადგა ცრემლი.

ვიგრძენი მაშინ დრო იყო ამის, უნდა დამესვა ეს კითხვა მაშინ, უნდა მეკითხა, უფალო, რატომ თუმც კი ვიცოდი ხვდებოდა მაინც.

ვერც კი ვბედავდი აწევას თავის, ვერც კი ვბედავდი მეყურა მისთვის, ნუთუ ამისთვის მოვედი აქ რომ წამიერებას გავეცე შეიშით.

უცებ ადულდა ძარღვებში სისხლი, უცებ ვიგრძენი მოკვდავის შიში შევხედე მე მის სევდიან თვალებს, წამიერებაც დაინგრა მაშინ.

მე აქ მოვედი, უფალო, შენთან და მოვიყვანე ეს სიყვარულიც, სიზმარია თუ ცხადად ქცეული, მუხლმოდრეკილი აგერ ვარ შენს წინ.

სიყვარულისთვის შექმენი კაცნი, და სამუდამოდ დაადე ფიცი, ევაც იმისთვის უქმენნი ადამს, რომ სიყვარული გებოძა მისთვის.


ვერ დავიჯერებ, რომ არ იცოდი, ანგელოზები ხომ იყვნენ მაშინ, შენ ხომ იცოდი, რომ ამ ზეციდან ზნედაცემულად ნასულა ერთი.

მაგრამ მიუშვი სამოთხის კართან, რომ ბოროტება ეკეთა მათთვის, ედემის ბაღში ის გრძნობა გაქრა, რომელიც მოკვდავთ გვიბოძე უნინ.

ჩვენ შენი შევლა გვინდა, უფალო, რადგან მოკვდავებს იგივე გველის, მე მინდა მხოლოდ გავიგო შენგან, რატომ დაკარგა ამ სიტყვამ ფასი.

ვხედავ ღრუბლებმა დაინყეს ფეთქვა, ვხედავ სამყარო გაშეშდა წამით. ვხედავ ნათელი დაკარგა ზეცამ, თვთ მზის სხივებმაც ჩაიცვეს შავი.

აღარ ექნება ამ სიტყვებს ბოლო, ვერვინ ვერ გსცემს ამ კითხვას პასუხს, თქვენ ეს გრძნობები დაკარგეთ მაშინ, როცა სიძულვილს დაუდეთ ზავი.



ვანო ჩხიკვაძე - 75

75 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვანო გაიოზის ძე ჩხიკვაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუფხავა. მისალმებაში ნათქვამია: ძვირფასო ბატონო ვანო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უღირსეულეს ნარმომადგენელს, მწერლური ნიჭიერებითა და კეთილშობილებით გამორჩეულ შემოქმედს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 წლისთავს.

სამწერლო ასპარეზზე 1966 წელს გამოხვედით, როდესაც გორში გამოშვებულ ალმანახ „ლიანოში“ პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ განვილიშა თითქმის ექვსმა ათეულმა წელმა თვალნათლივ დაგვანახა, თუ როგორ იქცა თქვენი მრავალწახანგოვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედება თანამედროვე ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად.

პოეზია, პროზა, დრამატურგია, საბავშვო ლიტერატურა, პუბლიცისტიკა - აი, მწერლობის ის ურთულესი ფანრები, რომლებსაც რწმენით და ერთგულებით ემსახურებოდა და თუ მსახურებზე მიდგა საქმე, უპირველეს ყოვლისა, ევტერპეს - ლირიკის მუზის ქურუმი მძაინდებოდა. დიახაც რომ ქართულ პოეზიას თქვენი სახით დიდებული წარმომადგენელი ჰყავს, რომელმაც უკვე მოასწრო ღრმა ხნულის გავლენა და საკუთარი ნიშის მოქმენა ქართულ პოეზიაში.

თქვენი პოეტური კრებულები („ნათება“, „ორნი სინათლის წრეში“, „გადაფრენა“, „მტრები ეკლესიის გუმბათზე“, „მემოდგომის ბილიკი“, „გაზაფხულია, მარია“, „ღმერთო, მათქმევინე“, ერთტომეული, „მესამე გზა“, „რეპლიკა დარბაზიდან“, „მგზავრი“) ქართველი მკითხველისა და სალიტერატურო კრიტიკის აღიარებით სარგებლობს. ამ კრებულების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, რომელსაც სრულად აქვს გასიგრძელებული, რომ თუკი მომკა გნადია, პირველ რიგში, უნდა თქვას.

პოეტი ბრძანდებით და ეს პოეტურობა თქვენს პროზაულ ნაწარმოებებსაც დაედარა. რა ხატოვნად, რა გულმართლად ხატავთ ტიპებსა და ხასიათებს, ხატავთ ადამიანური სითბოთი და სიკეთით. ღრმად გნამო, რომ ადამიანს ძალუძს, სძლიოს მის სულში ჩაბუდებულ უკეთურობას და ქვეყანას გამოადგეს. ამის დასტურია თქვენი რომანებისა და მოთხრობების ისეთი კრებულები, როგორცაა „ორი კაცი“, „ჩიტები ზამთარში“, „ექო“, „ნიგნში ჩამარხული ყვავილის სევდა“, „ორი რომანი“, „კოხტა თამრო“, „მუშების ომი“, „ქულა“, „მთავარანგელოზობის დამე“, „ქიზიყური ბელკანტო“, „გვირაბი...“ ამ ნაწარმოებში დატრიალებულმა გრიგალებმა თუ ქარიშხლებმა თქვენს გულზეც გადაიარა და ამიტომაცაა, რომ თეთრი სევდა თოვს თქვენული შემოღობის ყვირელ გზებზე, უჩვეულოდ ჩვეულებრივი სევდა.

თქვენი პიესები წარმატებით იდგმებოდა გორის სახელმწიფო თეატრში. ქართველი ბავშვების საყვარელ ნიგნებად იქცა თქვენი საყვარელი კრებულები („გილოცავთ“, „კარნავალი უღრანეთში“, „დათუნის მალეობა“, „ჯაბა-ჯუბა“, „სარკის ჩიტ“).

თქვენს საუკეთესო ქმნილებებს ინტერესით ეცნობიან გერმანელი, ფრანგი, ლატვიელი, პოლონელი, სომეხი, რუსი, უკრაინელი, ლიტველი, ყაზახი, ბულგარელი მკითხველები. ისინი შეტანილია არაერთ ანთოლოგიაში. სხვადასხვა დროს მუშაობდით გაზეთების „ნორჩი ლენინისა“ და „ახალგაზრდა კომუნისტის“ ლიტმუშაკად, საქართველოს ტელევიზიის სატელევიზიო თეატრის რედაქტორად, გორის პირველქმის მოადგილედ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატად და კულტურის, ჯანდაცვის, განათლების, სპორტისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ. თქვენი მრავალწლიანი ღვაწა და რუღუნება სათანადოდ დაფასდა. მონიჭებული გაქვთ საქართველოს ეროვნული, საქართველოს კომკავშირის, საქართველოს მწერალთა კავშირის, უფრანო „ომეგას“, „საბას“, „შენ-მარათონი 2003-ის“, საერთაშორისო ასოციაცია „ეკლის“, ლიტერატურული კონკურსის „წეროს“, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონ ტაბიძის, თამაზ ნივნივაძის, მაყვალა მრეველიშვილის სახელობის პრემიები, ქრისტინაშვილი პოეზიის მემორე ფესტივალის „ნინოს ჯვრის“ მთავარი პრიზი, დაჯილდოებული ხართ ღირსების ორდენით, იაკობ გოგებაშვილისა და მაყვალა მრეველიშვილის მედლებით; არჩეული ხართ გორის საპატიო მოქალაქედ.

კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ღირსებით სავსე თანამებრძოლს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით მწვერვალების დაპყრობას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ილია ბარამიძე - 75

75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი ილია ანდროს ძე ბარამიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუფხავა. მისალმებაში ნათქვამია: ჩვენო საყვარელო ბატონო ილია!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ჩინებულ პოეტს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 წლისთავს.

რა ნიშანდობლივია, რომ თქვენი მწერლური ნათლობა ჩვენს ალმა მატერში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგა 1965 წელს, როდესაც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსები. სწორედ ჩვენს სალოცავ დედაუნივერსიტეტში მოხდა თქვენი სულიერი ფორმირება. სწორედ აქ გამოგარჩიეს პირველად და თსუ ახალგაზრდა მწერალთა გამგეობის თავმჯდომარედ და ალმანახ „პირველი სხივის“ სარედაქციო კოლეგიის წევრად აგირჩიეს. სწორედ აქაური მადლი და მირონი გაგყვით მარადიულ საგზლად ნუთისოფლის იწროებში და შეგაძლებინათ სულიერი სინმინდის შენარჩუნება იმ ჯოჯოხეთურ სიტუაციებში, რომლებშიც ბედისწერამ გარგუნათ ყოფნა...

თქვენი პოეტური კრებულები „ნაადრევი ყოჩივარდები“ და „გაგარული რვეულიდან“ ქართველი მკითხველის მოწონებით სარგებლობს. ამ კრებულების ლირიკული გმირი ხომ ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი ჯვარცმული ქვეყნის მეციხოვნე, რომლის სხეულიდან სამშობლოსათვის დანთხეული სისხლი მოედინება და ეს სისხლი ჩვენი აპოკალიფსური ყოფის ლაბირინთში გზააბნეული თობებისთვის საკრალურ მინიშნებად რჩება იმისა, რომ ეს ცხოვრება სხვა არა არის, თუ არა ბარბაცი ერთი უბედურებიდან მეორემდე...

თქვენი თვალთახედვის მიღმა არც პატარები დარჩენილან. ქართველი ბავშვები მუდამ ინტერესით ეცნობიან თქვენს საყვარელო ზღაპარ-პოემებს („მრგვალეთი - გრძელეთი“ და „როგორ უშველა უბედურებამ კატა ვასიას“). ღრმა პროფესიონალიზმში, საქმის ცოდნა, მოვლენების აღქმისა და ანალიზის მწერლური უნარი გამოარჩევს თქვენი პუბლიცისტური წერილების კრებულს „იმედის ცრემლს“.

არაერთი წელი იმსახურეთ ეროვნულ გვარდიასა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, იბრძოდით აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სადაც მკერდით იცავდით ევერთა მინის სინმინდეს, თავისუფლებას და ვაჟკაცურად იხდდით ვალს სამშობლოს წინაშე.

თქვენი დამსახურება საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი - ღირსების ორდენით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ სულმნათი აკაკი წერეთლის სახელობის პრემია.

ძვირფასო ილია! კიდევ ერთხელ გულმზურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ნაცად მეგობარს, ღირსეულ პიროვნებასა და შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ლია ქაბაშვილი

ნიშობა

დღეს ნინობა, ნინოს ჯვარს შევხებ, უფლისგან ნაჩუქრს, იმ სივრციდან მოსულს, ნინო ჩვენთან იყო, ის გვეფერებოდა, რწმენაში გვამტკიცებდა ქართველთ.

დღეს ნინობაა, ის ახლა ჩემთან არის, ნუგუმს და იმედს მაძლევს - ქართლი გაბრწყინდება, ქართლი გადარჩება, ქართლი უერთგულებს ქრისტეს.

დღეს ნინობაა, მთელ საქართველოს მაღლი მოეფინა, მისი გულები გაათბო, რწმენაში გვამტკიცა, იმედი შთაგვებრა ქართველთ.

წამის მარადისობა

მზის სხივების ჩანჩქერით გავსებულა სივრცე, ბალი ყვითელ ფოთლებში გახვეული მიმზერს, მე სკმზე ჩამომჯდარი

მტრედის ღულუნს ვუსმენ, შადრევნის ხმაური ხან ზრდის, ხან ამცირებს. შრი-ალეგენ ფოთლები, ტრანსპორტის ხმა ახშობს, წყლის ფანტანთან ჩიტების ჟრიაბული ამკობს ამ მშვენიერ სურათს და... ვილიმები, ვხვდები, წამის მარადისობა დაფიქსირდა თვალით.

საქართველოს სიყვარული

მშვიდი დილა, მშვიდი ზეცა, ჩიტი გალობს, ცად მერცხლები, მათი ფრენა უანგარო, მშობლიური საქართველოს მზე და მინა, მათი სითბო, მათი სიტკბო უსაშველო. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე მზით ბრწყინვალე, ყოველ გოჯზე დაღვრილია მაღლი უფლის, სიყვარული სამშობლოსი გულს გვითრთოლებს და ამისთვის თუნდაც ეშმას შევებმევით.

მშვიდი დილა, მშვიდი ზეცა, ჩიტი გალობს, მშობლიური საქართველოს დილის ნისლი, ჩვენს გულიდან მონაჟური სითბო, სიტკბო ეს სიცოცხლე, საქართველოს სიყვარული.

რწმენა უფლის

წვიმიანი დღეა, სველი, სვედიანი, მაგრამ სულში მაინც მღერის ანგელოზი, რამდენიმე დღეა ჩემს გარშემო ვხედავ და საოცარ, ნეტარ სამყოფელში ვხვდები. ჩამოყვამულ სივრცეს გამინათებს წამით და ეს წამი მყოფნის, დიდხანს, თითქმის წლობით. ნეტარება, მაღლი, გულს მითბობს და სულიც, ყველა გაუსაძლის ყოფას უძლებს ამით.

უფლის ანგელოზი და უფალი ჩემთვის არის პირველი და ბოლო დასაყრდენი, ნეტარია იგი, ვინც არ სცდება მასში, რადგან რწმენ უფლის გზაა სასუფეველის.

როგორ?

გარეთ საოცრად წვიმს, სულში მზეა და დღე. ის ანგელოზი კრთის, როს შენს ნახვისას ვხედ. იქნებ მაუწყა მან, რომ გამოჩნდები შენ, რომ აინთება ცა და სულს სამოთხეს სწვევს, რომ ის იწყება აქ, მე დავიჯერე ეს, შენი ხილვისას ვჭვრეტ - სული სამოთხეს ხედს. და როგორ მოგაქვს შენ სულის სამოთხე ცად? როგორ შევიცნობ მე? და როგორ ვჭვრეტ მას?

ლია მუმლაძე

სამშობლო ისეთი სიმაღლაა

სამშობლოზე ტკბილი მითხარით რაა, რომელი ოქრო და ვერცხლი?! სამშობლო, ისეთი სიმაღლეა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის! სამშობლო, მაღლნარი ვენახია, დღეს მას ვერავინ უფლის, დღეს მის დასაცავად გვეძახიან, დრო არის ავმაღლდეთ სულით! მე საქართველოს დუმილს ვერ ვუძლებ... სხვა დროსაც დუმდა ბევრი ტაძარი... სისხლის წვიმები, სხვა დროსაც წვიმდა... მაგრამ ეს „წვიმა“ არის სხვაგვარი!

გია ნანობაშვილი

ანგელოზი

ციდან მოსული ანგელოზი ხარ და დარჩენილი ეულად მარტო. ღმერთს დაავინყდი დედამინაზე ერთადერთი ხარ, ვინც ღამეს ათბობს. და შენ გგონია, რომ მოგცა ზეცამ ანგელოზობის შენ ესე ნიჭი? მხოლოდ ჩემში ხარ, როგორც მეუფე ამქვეყნიური ბედნიერების. თუ სიყვარული წუთით ინამე და არ გამიხსენ ნეტარი სული, შენს ღამაზე ყელს თუ ვერ მოვეხვიე და დავიჩეხე წამნამებს გული, შენი თვალების ზღვაში დამახრჩვე, ვეღარ ვიგემო ტუჩები ღალად, გრძნობებისაგან თუ დაიცლები, სიყვარული თუ მიქციე დარდად, მაშინ დარჩები ტკბილ მოგონებად, დემონიც უნინ ანგელოზს ჰგავდა.



ვალერი ჯინჭარაძე

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი დასანანი დანაკარგი განიცადა.

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვალერი ვაჟას ძე ჯინჭარაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა დახვეწილი ინტელიგენტურობით, მწერლური ნიჭიერებით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მუხლჩაუხრელად და გულმხურვალედ ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს და გულის ფიცარზე ჰქონდა ამოტვიფრული დიდი ილია მართლის - ილია ჭავჭავაძის უკვდავი სამება - მამული, ენა, სარწმუნოება...

ვალერი ჯინჭარაძე დაიბადა 1960 წლის 19 ნოემბერს. საშუალო განათლების მიღების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1984 წელს დაასრულა. მას შემდეგ იგი ნაყოფიერ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. სხვადასხვა დროს იყო ჟურნალ „ნაკადულის“ მთავარი რედაქტორი, გაზეთის „12 - მდე“ მთავარი რედაქტორი, ნიგნის მოყვარულთა კავშირის „ბესტსელერის“ ხელმძღვანელი, არჩეული იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელად. მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა არაერთი ლიტერატურული კონკურსი, რომლებსაც დადებითი გამოხმაურება მოჰყვა სამწერლო წრეებში. ყველგან, სადაც არ უნდა ემუშავა, რაც არ უნდა ეკეთებინა, იგი ყველგან სათნოების, სიკეთისა და სიყვარულის ღრმა კვალს ტოვებდა, ყველგან ჭეშმარიტი პროფესიონალიზმით გამოირჩეოდა...

ვალერი ჯინჭარაძემ სამწერლო სარბიელზე პირველი ნაბიჯები 1978 წელს გადადგა, რომელსაც გაზეთ „ქუთაისში“ მისი პირველი მოთხრობა გამოქვეყნდა. მას შემდეგ ვალერი ჯინჭარაძის ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ქართულ სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

„სამკაცრიანი სოფელი“ - ასე ჰქვია ვალერი ჯინჭარაძის პროზაულ კრებულს, რომელშიც დაიგანა მწერლის საუკეთესო მოთხრობებმა. კრებულს მკითხველთა მოწონება ხვდა წილად, რადგანაც ვალერი ჯინჭარაძე მართლაც და შეულამაზებლად წერდა ქართული ყოფის უმტკივნეულეს პრობლემებზე, წერდა დიდი გულისტკივილითა და დარდით... მისი მოთხრობები მწერლური ნიჭიერებისა და მართალი მოქალაქეობრივი პოზიციის ერთ მშვენიერ ნიმუშს წარმოადგენს.

ვალერი ჯინჭარაძის კალამს ეკუთვნოდა ბავშვებისთვის განკუთვნილი ნიგნი „ჩვენ დედამინაზე დავივივართ“.

წავიდა ჩვენგან ჩინებული შემოქმედი, მოღვაწე, პიროვნება, ჩვენი უსასტიკესი და შეუბრალებელი ყოფის კიდევ ერთი მსხვერპლი, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი **უზრაბ თორია** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა პოეტ მანანა ჩიტეშვილის დედა **ოლღა თინიკაშვილი** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი **კუკური კვასტინანი** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა მწერალი გიზო ზარნაძის მეუღლე **ლია არაბიძე** და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს

